

**ტარიელ ფუტკარაძე**

**სათავე და პერსპექტივა  
ქართული სამწიგნობრო ენისა**

**კავკასიოლოგიური სერია, IV**



**2006**

იბერიულ-კავკასიური საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრი  
Ibero-Caucasian International Research centre

---

**კავკასიოლოგიური სერია, IV**

**ტარიელ ფუტკარაძე**

**სათავე და პერსპექტივა  
ქართული სამწიგნობრო ენისა**

**თბილისი  
2006**

იბერიულ-კავკასიური საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრი  
Ibero-Caucasian International Research centre

---

**Caucasiological Series, IV**

**Tariel Putkaradze**

**The Origin of the  
Georgian Literary Language  
and its Prospects**

**Tbilisi  
2006**

## ტ.

საქართველოს ისტორიაში ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოს იდენის განხორციელების ორი უმნიშვნელოვანესი პერიოდი არსებობს და ორივე პერიოდის სიძლიერისა და ერთიანობის გამოხატულებად მიჩნეულია **ქართული ენის** განსაკუთრებული როლი; შდრ.: **ქუჯ-ფარნავაზის ეპოქა**: “არღარა იზრახებოდა ქართლსა შინა სხუა ენა, თვინიერ ქართულისა“ და **გრიგოლ ხანძთელის ეპოქა**: “ქართლად ფრიადი (მრავალი) ქუეყანა (მხარე) აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“... პირველ შემთხვევაში საქართველოს გაერთიანებისთვის არსებითი როლი შეასრულა ეგრისის ერისთავმა ქუჯიმ, მეორე შემთხვევაში კი - სამხრეთ-დასავლეთ (ტაოში) და დასავლეთ საქართველოში (ეგრისში) აღზრდილმა ბაგრატიონებმა...

## ჟ.

ასომთავრულის შემქმნელი დიდი ენათმეცნიერია, ვინაიდან მან გასაოცარი სიზუსტით დაინახა ქართული ენის ბგერითი სისტემა; კერძოდ, განსაზღვრა და ასო-სიმბოლოები მიუსადაგა: ხმოვან ფონემებს (ა, ე, ო), თანხმოვან ფონემებს (ბ, ფ, პ; დ, თ, ტ; ძ, ც, წ, ზ, ს; ჯ, ჩ, ჭ, უ; შ; გ, ქ, კ; ჯ, ყ; ლ, ხ; მ, ნ, რ, ლ, ჰ) და სონანტთა ალოფონებსაც კი (ი, ე; უ, ჭ)...

## ღ.

ქართული ანბანის შემქმნელმა, ჩანს, ასომთავრული ანბანი დააფუძნა საერთოქართველური ენის ბგერით სისტემას და არა ერთი რომელიმე ქართველური კილოს, ან კოინეს მონაცემებს; შესაბამისად, **არქაული ქართული სამწიგნობრო ენისთვის ამოსავალი, საყრდენი ენობრივი მოდელის ძიებისას** მნიშვნელოვანია საერთოქართველური ენისა და ასომთავრული ანბანის ლოგიკური დათარიღება...

დედაენა პიროვნების სახეა;  
ხალხი ქმნის ენას და ენა ქმნის ერს;  
სახელმწიფო ენა ქვეყნის ღირსების საზომია.

## A

In the history of Georgia there exist two most important periods of realization of the idea of the formation of unified and powerful state. In both periods the spread and usage of the Georgian language is taken as the chief criteria for the strength and unity of the country.

Let's compare the periods:

**Kuji-Pharnavaz epoc says:** “there was no other language spoken besides Georgian in the country“ and **Grigol Khandteli's epoc says:** “Georgia is the name of many parts of the country where the divine service is performed in the Georgian language and people pray for God in Georgian“.

In the first period, Kuji, prince of Egrisi, played the essential role for the unification of the country, in the second period the same is done by Bagrationi kings brought up in the south-west (Tao) and the west (Egrisi) Georgia.

## B

The man who had created the *asomtavruli* (Capital Georgian alphabet) was a great scholar as he had seen with amazing precision the system of the Georgian sounds.

Namely the scholar had determined and ascribed letters to vowel phonemes (ა a, ე e, ო o), to consonant phonemes (ბ b, ფ p, პ p; დ d, თ t, ტ t; ძ dʒ, ც c, წ tʃ, ჯ j, ჩ č, ჭ č, ჯ ž, შ š; გ g, კ k, კ k; ხ h, ყ q; ლ l, ხ h; მ m, ნ n, რ r, ლ l, ჰ h) and to sonant allo-phones (ი i, უ u; უ u, ვ(w))...

## C

The creator of the Georgian alphabet based the *asomtavruli*, capital Georgian alphabet, on the Common-Kartvelian sound system and not on one of the dialects or on Koine data. Consequently, when seeking for the pivotal language model as the point of departure for the archaic Georgian literary language, important is the logical dating of Common-Kartvelian and *Asomtavruli*.

Native language is the face of personality  
People create language and language creates people  
National language is the measure of the country's dignity

სარჩევი  
Contents

შესავალი Introduction	7
“ისულებითი ქართიზაციის“ თეორიის უსაფუძვლობა Groundlessness of the theory of “Forceful Kartization”	9
ე.წ. “ნებაყოფლობითი ქართიზაცია“ - პრობლემის ისტორია The history of the question of so-called “Voluntary Kartiza- tion”	10
არის თუ არა ქართლური კილო სამწიგნობრო ენის სათავე? Is the Kartlian dialect the single source of the literary lan- guage?	13
რომელი ენობრივი ერთეულის ბგერათა სისტემა შეიძლება იყოს ასომთავრული ანბანის ბაზა? The sound system of what language unit can be considered the basis of the <i>asomtavruli</i> (Georgian-capital letters)?	14
ქართველური თემები, რომლებიც ჩანან ქართული ანბანის შექმნის დროს Kartvelian communities identifiable during the period of crea- tion of the Georgian alphabet	15
საერთოქართველური ენის დათარიღების პრობლემა The problem of dating of the Common-Kartvelian language	17
საერთოქართველური ენა - სამწიგნობრო ქართული ენის სათავე Common- Kartvelian language as the source of the Georgian literary language	19

ქართველთა სამწიგნობრო ენა დღეს: საფრთხეები და პერსპექტივები (მოკლე ექსკურსი) Georgian literary language today: threats and prospects (brief overview)	31
დამოწმებული ლიტერატურა References	44
ინგლისური რეზიუმე English Summary	50
დანართი Appandix	53-71

## შესავალი

ერთ-ერთი გავრცელებული შეხედულების თანახმად, უძველესი პერიოდიდან (ძვ.წ. III-II ათასწლეულებიდან) თითქოსდა არსებობდა სამ მონათესავე ენაზე მოლაპარაკე სამი ქართველური ტომი: ქართი, ზანი და სვანი (იხ., მაგ., ო.ჯაფარიძე, 2006, გვ. 366, 353: “ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის საქართველოს ეთნიკური რუკა ასე გამოიყურება: კოლხეთის მთიანეთში - სვანი, კოლხეთის ბარში - ზანი, აღმოსავლეთ საქართველოში - ქართველი“). ამავე თეორიის მიხედვით, შემდეგ პერიოდში ქართველების/ქართვების ენის ბაზაზე შეიქმნა სალიტერატურო ენა, რომელიც, მოგვიანებით, მეგრულ-ლაზთა და სვანთა კულტურის ენადაც იქცა. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს უკანასკნელი დებულება ორგვარი ინტერპრეტაციით გვხვდება:

**1. იძულებითი ქართიზაცია:** ვარაუდობენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებმა მოსახლეობამ - ქართველებმა - თავიანთი ენა და კულტურა ძალით მოახვია თავს დასავლეთ საქართველოს ბარში მცხოვრებ მეგრელებს, ლაზებს, კავკასიონის კალთებზე მცხოვრებ სვანებს, ფხოველებს, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მცხოვრებ ჰერებს, სამხრეთ ამიერკავკასიაში მცხოვრებ მესხებს და სხვ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს “კონცეფცია” მომდინარეობს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, ქეროპე პეტროსის ძე პატკანიანისგან (პატკანოვისგან). აღმოსავლეთ საქართველოს ძველი მოსახლეობის აღსანიშნავად საბჭოთა პერიოდში დაამკვიდრეს ეთნონიმი **ქართი** (“ქართვებს” ზოგი ავტოქთონად თვლის, ზოგი - მოსულად); პარალელურად გაჩნდა საოცარი ფრაზაც: **ქართი - ტომიყლაპია:** “ქართის ტომის მიერ დაპყრობა-შერწყმა სხვა ტომებისა და შემდეგ თანდათან მისი სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად გარდაქმნა (კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნა) მას განუზომელ უპირატესობას ანიჭებდა სხვა ტომებთან შედარებით და მოხდა უდიდესი ნახტომი: **ქართის ტომმა** მცხეთა დაიპყრო და აქ შეიქმნა ახალი ქართლი. ამის შემდეგ ამ ტომთა შერწყმა კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯით წავიდა. **ქართი ტომიყლაპია:** იბერები, მესხები, ზიდრიტები, კახები, ჰერები, ფხოვი, ჭართალი, ბაზალი, დუალი, ეგრე, სვანი, აფხაზი, აფშილი, სანიგი” (ნ.ბერძენიშვილი, 1990, გვ. 237). ე.წ. ქართვებისგან სხვა ქართველურ ტომთა ასიმილაციის დაუსაბუთებელ მოსაზრებას სამეცნიერო ლიტერატურაში “ქართიზაციის”, “გაქართვების”, “ქართველიზაციის”, ან “გაქართულების” სახელით იხსენიებენ (იხ., მაგ., ნ.ბერძენიშვილი, 1990, გვ. 225, 353, 406-409; გ.მჭედლიძე, 1996, გვ. 111, 115, 370, 534 და სხვ.).



**2. ნებაყოფლობითი ქართიზაცია:** ზანური და სვანური “ენების“ მფლობელებმა თავიანთ სალიტერატურო ენად ნებაყოფლობით მიიღეს მოძმე “ქართების“ სალიტერატურო ენა. ამ მოსაზრების თვალსაჩინო ნიმუშად წარმოვადგენთ ციტატას ა.ონიანის ერთ-ერთი ბოლო ნაშრომიდან: “ქართულთან, მეგრულთან და ლაზურთან ერთად სვანური არის ქართველურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი წევრი. ქართველურ ენებზე, ბევრი სხვა მონათესავე ენათა ჯგუფისაგან განსხვავებით, არ წარმოქმნილა სხვადასხვა ეროვნული კულტურა (მეცნიერება, ხელოვნება)... ქართული იყო მთელი ქართველი ხალხის **ბუნებრივი (და არა - თავსმონხვეული)** საერთო-სახალხო ეროვნული ენა, მეცნიერების, კულტურის ენა და ერთადერთი სალიტერატურო ენა. ეს არის ის დიდი ტვირთი, რაც ისტორიამ **ქართველურ ენათაგან მხოლოდ ქართულს დააკისრა** და რის გამოც ის არის სწორედ სრულიად საქართველოს საერთო-სახალხო ეროვნული ენა და ქართველი ხალხის ერთიანობის ბურჯი. დანარჩენი ქართველური ენები კი, რომლებიც ლინგვისტური თვალსაზრისით ჩვეულებრივი ენებია, ფუნქციონალურად (საზოგადოებრივი ფუნქციის მიხედვით) **ქართული ენის დიალექტებს უტოლდებიან** (ხაზგასმა ყველგან ჩემია - ტ.ფ.). ნათქვამიდან ჩანს, რომ სვანური (მეგრულისა და ლაზურის მსგავსად) უმწერლობო ენაა“ (ა.ონიანი, 1998, გვ. 3-4; მსგავსი მსჯელობისათვის იხ., აგრეთვე: რ.გორდეზიანი, 1993, გვ. 70).

საბჭოთა პერიოდამდე ცნობილ ქართველ საზოგადო და სასულიერო მოღვაწეებს არასოდეს გაუზიარებიათ **მოსაზრება ქართველთა რამდენიმე ენის არსებობის** შესახებ და **ე.წ. ქართიზაციის თეორია** (ქართველოლოგიაში ენისა და კილოს საკითხის შესახებ იხ., თ.გვანცელაძე, 2006), მაგრამ XX საუკუნის საბჭოთა იმპერიის (ბუნებრივია, ამ პერიოდის საქართველოს) სამეცნიერო წრეებში ეს იყო აღიარებული, წამყვანი **სამეცნიერო თეორია**; მეტიც, ამ ვარაუდის (!) “სრულყოფის“ ცდად უნდა ჩაითვალოს **ქართებისა და ქართლელების** გაიგივება (გ.მელიქიშვილი, 1973, გვ. 118, 125-127), ქართული ეკლესიისათვის პროზელიტიზმის დაბრალება (დ. მუსხელიშვილი, 2005, გვ. 33: “...ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის“) და ქრისტიანობის გამოცხადება ქართიზაციის პროცესის ხელისშეწყობად (გ.მჭედლიძე, 1996, გვ. 368: “ქართულ ენაზე ქრისტიანობის აღმსარებლობა ქართიზაციის პროცესს უწყობდა ხელს და ამით **ეთნიკურ** ბარიერებს სპობდა“).

სამეცნიერო ლიტერატურაში **ე.წ. ქართიზაციის თეორია** პირველად გააკრიტიკა ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ,

**ისტორიკოსმა, პროფესორმა ანანია ჯაფარიძემ**, რომელმაც, ქართულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, თავისი ხედვა ასე ჩამოაყალიბა:

“ნ.მარისგან მომდინარეობს იდეა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის “ქართიზაციისა” ანუ გაქართველების შესახებ. ხელოვნურია ტერმინი და იდეაც ასეთივეა; სინამდვილეში კი, ძველი წყაროების თანახმად, მთიანეთის, კახეთ-ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას “ქართიზაცია” არ ესაჭიროებოდა, რადგან ძველთაგანვე (და ფარნავაზის დროსაც) აღნიშნულ კუთხეთა მცხოვრებნი, როგორც მთიელები, ისე ეგრისელები (მესხებსა და ჰერ-კახელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) ქართველი ხალხის ძირითად ნაწილად განიხილებოდნენ. ეს ასე ესმის “ქართლის ცხოვრებას”, ძველ ქრონიკებს და ძველ ავტორებს... დიდმა ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, რომ ქრისტიანობამდე ყველა ქართულ ტომთათვის (სამეგრელოსა და სვანეთშიც) კულტმსახურების ენა იყო ქართული ენა... შესაბამისად, ამ ტომებს ქართიზაცია არ სჭირდებოდათ...” (ა.ჯაფარიძე, 1996, გვ.195-197, 213, 215-216; იხ., აგრეთვე, ა.ჯაფარიძე, 1998, გვ.261-263; ა.ჯაფარიძე, 2003).

## **“იძულებითი ქართიზაციის” თეორიის უსაფუძვლობა**

“იძულებითი ქართიზაციის” თეორიის უსაფუძვლობას ცხადყოფს მრავალი სხვა ფაქტი და ბოლო პერიოდში ჩვენ მიერ წარმოებული კვლევებიც; კერძოდ: არც ერთ საისტორიო (თუ სხვა სახის) ქართულ თუ უცხოურ წყაროში არ დასტურდება **ქართის ტომი**; ვინც არ არსებობდა, როგორ შეეძლო სხვისი დაპყრობა (ტ.ფუტყარაძე, 2005, გვ. 325)? ფაქტია ისიც, რომ საისტორიო წყაროების მიხედვით, ქართველური ტომების/თემების თუ სამთავროების გაერთიანების იდეა თითქმის ყოველთვის დასავლეთ ან სამხრეთ საქართველოს მოსახლეობისგან (მათი წინამძღოლებისგან) მოდიოდა; იხ., მაგ., ქუჭის, მარუშიანის, დავით კურაპალატის, ლეონიდების, ბაგრატ III-ის, ჭყონდიდლების, ლევან დადიანისა (“იბერიელთა ერთობის ტრაქტატი”) და სხვათა ძალისხმევა.

**შენიშვნა:** საყურადღებოა: კ.კეკელიძესთან კამათში ივ.ჯავახიშვილს სიტყვა **ქართვები** ბრჭყალებით მოჰყავს (ივ.ჯავახიშვილი, 1979, გვ. 236); შდრ.: კ.კეკელიძის რწმენით, **სვანებთან ნარევი მესხების** კუთვნილი ქართლი ძვ.წ. IV-III საუკუნეებში დაუკავებიათ ქართვეს, რომელთაც **ახალი ქართლი** შეუქმნიათ; ჩანს, ივ. ჯავახიშვილი არ იზიარებდა **ქართის ტომის** არსებობის იდეას, თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამის

შესახებ მას საგანგებოდ არ უმსჯელია. ივ.ჯავახიშვილისგან განსხვავებით, ქართიზაციის თემა გაააქტიუალურა ნ.ბერძენიშვილმა; დავიმოწმებთ მის ტიპურ ციტატას (ნ.ბერძენიშვილი, 1990, გვ. 225): ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბების ხანისათვის **ქართლის ექსპანსია** ძირითადად დასრულებული იყო... ქსნისა და არაგვის ხეობებმა “სახელი ქართლი არ მიიღეს; არ მიიღო ეს სახელი არც **იმერეთმა**, მიუხედავად იმისა, რომ **ქართის კულტურა, ქართის ენა** მათთვის **მშობლიური ენა გახდა** (შეიძლება იბერნი იყვნენ და იმავეთვე მათი ენაც იგივე იყო, რაც ქართლისა, ოღონდ დიალექტი...)“ [ხაზგასმა ჩემია - ტ.ფ.].

“იძულებითი ქართიზაციისა“ და ქართული ეკლესიის პროზელიტურობის თეორია დღესაც ატაცებული აქვთ საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების მომხრე ჯგუფებს (განსაკუთრებით, რუსეთის იმპერიის მესვეურებს). რამდენადაც იძულებით ქართიზაციას ფაქტობრივი მონაცემები მხარს არ უჭერს, ხოლო I საუკუნიდან მომდინარე ქართული ეკლესიის ისტორია საფუძვლიანი კვლევით ნათლადაა წარმოდგენილი მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ფუნდამენტურ გამოკვლევებებში (ა.ჯაფარიძე, 1996; ა.ჯაფარიძე, 1998; ა.ჯაფარიძე, 1999; ა.ჯაფარიძე, 2003; იხ, აგრეთვე, ბ.დიასამიძე, 1999), ამ საკითხებზე მსჯელობას ჩვენ აღარ გავაგრძელებთ.

## **ე.წ. “ნებაყოფლობითი ქართიზაცია“ - პრობლემის ისტორია**

უფრო ბუნდოვნად და წინააღმდეგობრივად გამოიყურება მოსაზრება ე.წ. “ნებაყოფლობითი ქართიზაციის“ შესახებ; **ამ თვალსაზრისის მიმდევართა აზრით**, ძველთაგანვე არსებულ ქართველურ ტომობრივ ენათაგან ერთ-ერთზე (“ქართვების ენაზე“) შექმნილი სალიტერატურო ენა დროთა განმავლობაში ქართველი ერის ეროვნულ ენად იქცა (მსჯელობისათვის იხ., მაგ., განათლების სამინისტროს მიერ სტუდენტთათვის სახელმძღვანელოდ დამტკიცებული “ენათმეცნიერების შესავლის საკითხები“ **გ.ახვლედიანის რედაქციით**, თბ., 1972, გვ. 36). აქვე (გვ. 22) ვკითხულობთ: “ქართული და მეგრული იმდენად არის დაცილებული ერთმანეთისგან, რომ თუ ან **მეგრელმა** ქართული არ იცის ან **ქართველმა** მეგრული, მაშინ ისინი ერთმანეთს ვერ გაუგებენ“... წიგნის ავტორთა მიხედვით, ქართული ენის **ეროვნულ ენად** ქცევის მიუხედავად, მეგრული და ქართული ოპოზიციური ცნებებია, ხოლო **მეგრელი** და **ქართველი** მათთვის სხვადასხვა ხალხად კვალიფიცირდება...

პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ საქართველოს პირველ უნივერსიტეტში შექმნილ ამ სახელმძღვანელოში ქართველობის

წარმოდგენა ორ ხალხად არის **ლოგიკური შეცდომა**, რომელიც გამომდინარეობს ქართველური ენობრივი სამყაროს იმ არალოგიკური გააზრებისგან, რომელიც გაბატონებული იყო საბჭოთა ენათმეცნიერებაში. ქართველურ ენობრივ ერთეულთა მსგავსი კვალიფიკაცია ჯერ კიდევ გავრცელებულია საბჭოთა იმპერიის დასუსტებისა და დაშლის შემდეგაც (იხ., მაგ.: ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ. 172-173; ბ.ჯორბენაძე, 1995, გვ. 18-20; თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შაღურია, ნ.შენგელაია, 2003, გვ. 622; ვ.ბოლდერი, 2005, გვ. 230-232... ვ.ბოლდერის “არგუმენტების“ კრიტიკისათვის იხ., თ.გვანცელაძე, 2006); შესაბამისად, საქართველოში თუ საზღვარგარეთ ბევრ მკვლევარს დღესაც არა აქვს ნათელი წარმოდგენა ქართველთა ეთნოკულტურული ისტორიის შესახებ; ბევრს ჯერაც ჰგონია, რომ შუა საუკუნეებიდან დღემდე ქართების (ქართველების/ქართლების) ენა და კულტურა თავს აქვთ მოხვეული სხვა ქართველური მოდემის “ხალხებს“ (სვანებს, ლაზებს, მეგრელებს, მესხებს, აჭარლებს, ფხოველებს... (კონკრეტული მასალისათვის იხ., თ.გვანცელაძის, მ.ტაბიძის, რ.შეროზიას, ა.ჯაფარიძის, მ.ნაჭყებუას ნაშრომები, რომლებიც დამოწმებულ ლიტერატურაშია წარმოდგენილი).

მონათესავე ტომთაგან ერთ-ერთის გაძლიერება და მის მიერ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი გაერთიანების ორგანიზება ჩვეულებრივი მოვლენაა მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში; თუმცა, უკვე **ეროვნებად ჩამოყალიბებული** მონათესავე ხალხების ენებისაგან ერთ-ერთი ენის აღმატებულად - სახელმწიფო ენად - გამოცხადება და ამ ერის სახელწოდების, კულტურის, ენის განზოგადება მონათესავე ეროვნებათა სახელად, კულტურად, ენად, ძნელი წარმოსადგენია; როგორც წესი, ამგვარი “დაახლოების“ პროცესები იწოდება: ერთი ერის მიერ სხვათა დაპყრობად, ასიმილაციად და ა.შ. მდრ.: გ.მელიქიშვილი, 1973, გვ. 124-128: არაბობის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრი **ქართის ეროვნების** მიერ მოხდა დასავლეთ საქართველოს არაქართი მოსახლეობის “ენობრივ-ეთნიკური“ დაახლოება-შერწყმა...

გ.მელიქიშვილის (და ზემოთ დასახელებული სხვა მკვლევრების) მსჯელობებში ერთმანეთისგან გამომდინარე **ორი უსაფუძვლო დაშვება გვაქვს**: არსებობდა ქართის ტომი/ეროვნება; არსებობდა ქართის ენა.

უკვე ხაზგასმით ითქვა: ქართის ტომის არსებობის ვარაუდის საფუძველს მსოფლიოში არსებული არც ერთი ისტორიული წყარო არ იძლევა; გარდა ამისა, დაუსაბუთებელია “ისტორიული ქართების“, ქართველებისა და ქართლების გათანაბრება. ვფიქრობთ, უფრო ლოგიკურია ისტორიული ქართლის მოსახლეობის **სახელდება**

**მესხებად** (ლიტერატურისა და მსჯელობისათვის იხ., ტ.ფუტკარაძე, 2005, გვ. 87-90).

საკითხის ისტორიის შესწავლით გაირკვა, რომ XX საუკუნის ისტორიკოსთა გამოკვლევებში ქართველთა სამ შტოდ წარმოდგენას სათავე ლინგვისტიკა დაუდეს: “ქართველებს **ენათმეცნიერება** სამ უმთავრეს შტოდ ჰყოფს: ერთ შტოს ქართლურად (ქართის ენაზე) მოსაუბრენი შეადგენენ (ქართლელნი, კახელნი, ფშავ-ხევსურნი, მესხები, აწინდელნი იმერლები და გურულები); მეორეს იბერიელნი ეკუთვნიან, ანუ მეგრელ-ლაზ-ჭანები; ხოლო მესამეს - სვანები: (ივ.ჯავახიშვილი, 1908, გვ. 19, 21; აგრეთვე, გვ. 3-6). ხოლო **მოსაზრებას ძვ.წ. III-II ათასწლეულებში ქართის (ზანის, სვანის) ტომის არსებობის შესახებ**, ბიძგი მისცა ზოგი ლინგვისტის (გ.კლიმოვის, თ.გამყრელიძის...) მიერ ამ პერიოდში სამი ქართველური ენის არსებობის **სათუო დაშვებამ**, რომელთაგან ერთ-ერთზე - ქართულ ენაზე - თითქოსდა შეიქმნა ანბანი; სწორედ ლინგვისტთა **გარაუდზე** დაყრდნობით, ისტორიკოსთა დიდი ნაწილი უშვებს, რომ არსებობდა ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართის ტომი, რომელმაც სხვა ქართველური ტომების ასიმილაცია მოახდინა (ბოლო პერიოდის მსჯელობისათვის იხ., მაგ., ო.ჯაფარიძე, 2006, გვ. 339-340).

**მაშასადამე, ე.წ. ნებაყოფლობითი (თუ იძულებითი) ქართიზაციის რეალურობის სამტკიცებლად** თუ უარსაყოფად საკვანძო მნიშვნელობისაა პასუხი კითხვებზე:

**როდის არსებულ, როგორი სახის და რომელ ენობრივ ერთეულს ემყარება ქართველთა ანბანი და ქართული სამწიგნობრო ენა?**

ქართული სამწიგნობრო (სალიტერატურო) ენის საყრდენი ენობრივი ერთეულის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ორგვარი მოსაზრება არსებობს:

**ტ.** ქართველთა სალიტერატურო ენა შეიქმნა ერთი კილოს /ენა-კავის (ქართლური, ქართლ-კახური...) საფუძველზე; შემდეგ ეს ენა იქცა ქართველთა საერთო ენად;

**ღ.** ქართული სალიტერატურო ენა შეიქმნა საერთოქართველური ენის საფუძველზე, შესამაბისად, თავიდანვე ის ყველა ქართველური თემის შემოქმედების ნაყოფია.

## არის თუა არა ქართლური კილო სამწიგნობრო ენის სათავე?

**ივ. ჯავახიშვილი, 1979, გვ. 154-156:** “ქართული ენა ქართლელ-კახელ-იმერელ-გურულებისა და მეგრელ-სვანებისთვის საერთო ენაა...”

**წარმართობისდროინდელი საერთო შემოქმედებაა;** უღრ., ივ. ჯავახიშვილი (1908, გვ. 20): “ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებული მწერლობის ენა ქართლურია... ქართველთა ძველი მწერლობის ენა კი შეიძლება ეკუთვნოდეს მეგრულ-ლაზურ, ან სვანურ შტოს; **უღრ., იქვე, გვ. 4:** “საერთო ენა და მწერლობა ყველა ქართველმა ტომმა შექმნა”.

**არნ. ჩიქობავა:** “სალიტერატურო ენა იქმნება გარკვეული დიალექტის საფუძველზე, ასე, მაგალითად, რუსულ ეროვნულ ენას, როგორც აღნიშნავს ი. სტალინი, საფუძვლად დაედო კურსკ-ორიოლის მეტყველება... ძველი სალიტერატურო ქართული ენა შეიქმნა ისტორიული ქართლის მეტყველების საფუძველზე; ახალი ქართული სალიტერატურო ენა ქართლურის გარდა კახურსაც ემყარება“ (არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 114-115).

**გ. ახვლედიანი, გ.ნებიერიძე:** “ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ქართლ-კახური დიალექტი, მაგრამ სალიტერატურო ქართული არ ემთხვევა მთლიანად ქართლ-კახურ დიალექტს, სალიტერატურო ენას საფუძვლად ედება ის დიალექტი, რომლის წარმომადგენლებიც დაწინაურებული არიან კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით; ასე მაგალითად, ლათინურს საფუძვლად დაედო რომის დიალექტი, რადგან რომს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა რომის იმპერიაში. ამავე მიზეზის გამო ფრანგულს საფუძვლად დაედო პარიზის დიალექტი, ძველ ბერძნულს - ატიკური დიალექტი, ქართულს - ქართლ-კახური და ა.შ.“ (გ. ახვლედიანი, 1972, გვ.27).

**ბ.ჯორბენაძე:** “სალიტერატურო ენა იქმნება გარკვეული დიალექტის საფუძველზე... ძველი სალიტერატურო ქართული ენა შეიქმნა ისტორიული ქართლის მეტყველების საფუძველზე; ახალი ქართული სალიტერატურო ენა ქართლურის გარდა კახურსაც ემყარება“ (1989, გვ. 172-173).

რა არგუმენტები და წინააღმდეგობები აქვს წარმოდგენილ მოსაზრებებს?

**ქართლურის (ქართლ-კახურის) გამოცხადება** სამწიგნობრო ენის ბაზად ემყარება დამწერლობის/მწიგნობრობის შექმნის დროს

მცხეთის/თბილისის ანუ ქართლის პროვინციის დაწინაურების ფაქტს და სალიტერატურო ენასთან ქართლური კილოს მეტ სიახლოვეს.

ამ მოსაზრების გაზიარებას ხელს უშლის **რამდენიმე ფაქტი**:

✚ არც ერთ წყაროში არ დასტურდება ქართის ტომის არსებობა; შესაბამისად, დასადგენია ქართული ანბანის/მწიგნობრობის შექმნის დროს არსებული ის ქართველური თემი (თემები), რომელიც (რომლებიც) შეიძლება ყოფილიყო ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების წარმმართველი.

✚ ჩვენამდე მოღწეული არქაული წერილობითი ძეგლების ენა (ფონემატური, მორფოლოგიური, სინტაქსური სტრუქტურები) ქართლურთან არ ავლენს უფრო მეტ სიახლოვეს, ვიდრე მესხურთან, იმერულთან, ხევსურულთან თუ იმერხეულთან; შესაბამისად, რამდენად ლოგიკურია **ქართლურის** (მით უმეტეს, არ არსებული ე.წ. ქართის ენის) გამოცხადება სამწიგნობრო ენის საფუძვლად?

### **რომელი ენობრივი ერთეულის ბგერათა სისტემა შეიძლება იყოს ასომთავრული ანბანის ბაზა?**

**ქართული სამწიგნობრო ენის დასაწყისად ასომთავრულის შექმნა უნდა დავიგუღვოთ; შესაბამისად, არსებითია კითხვა: ქართველი ერის ისტორიის რომელ შუალედში შეიძლებოდა შექმნილიყო ასომთავრული ანბანი?**

სხვადასხვა ენების ანბანთა შეპირისპირების, უძველესი ხანმეტი, ჰაემეტი ტექსტებისა და ბოლნისის სიონის წარწერების გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა ივარაუდა, რომ **ასომთავრული ანბანი წარმართული პერიოდის ძეგლია** და შექმნილია არა უგვიანეს ძვ. წ. VII საუკუნისა. ამავ ეზრს ემხრობა პ. ინგოროყვაც. ცნობილი წყაროების ახლებური ანალიზისა და ბოლო წლებში მიკვლევული ძეგლების შესწავლის საფუძველზე **რ.პატარიძემ** ქართული ანბანის შექმნის თარიღად ივარაუდა **ძვ. წ. 415 წელი (რ. პატარიძე, 1989)**.

სხვადასხვა პროფილის ბევრი სხვა მკვლევარიც (აკ.ბაქრაძე, გ.ნარსიძე, მ.ჩხარტიშვილი, ზ.ალექსიძე, ლ.ჭილაშვილი...) ქართულ ანბანს წარმართული ხანის ძეგლად მიიჩნევენ. შდრ., აგრეთვე, “მატიანე შემეცნებათას“ ცნობა: **“არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი ჟამთაჲცა შინა ფარნავაზამდე...”**

ვფიქრობთ, ლოგიკური სამუშაო ჰიპოთეზაა: **ქართული დამწერლობის შექმნის დრო - ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე**

**ნახევარი (ტ.ფუტყარაძე, 2005).** კვლევის ამ ეტაპზე ჩვენთვის არსებითია ეპოქა და არა ანბანის შექმნის კონკრეტული თარიღი, თუმცა, საორიენტაციო დროდ მაინც ვიღებთ სახელმწიფოებრივი ძლიერების პერიოდს - ქუჯისა და ფარნავაზის ზეობის ხანას (შდრ., თ.გამყრელიძე, 1989, გვ. 197-198: “არ არის გამორიცხული, ასომთავრული დამწერლობა ქრისტიანობის ხანის ახალი ქართული ეროვნული დამწერლობა იყოს, რომელმაც შეცვალა (ან გამოაძევა) მანამდე არსებული, წარმართული ეპოქის წერილობითი სისტემა“).

ქართული დამწერლობის შექმნის დროისა და საბაზო ენის დადგენის პროცესში არსებითია ისტორიული რეალობისა და ენობრივი ფაქტების გათვალისწინება.

## **ქართველური თემები, რომლებიც ჩანან ქართული ანბანის შექმნის დროს**

ქართული ანბანის/მწიგნობრობის შექმნის სავარაუდო დროს, ძვ.წ. I ათასწლეულის II ნახევარში, რომელი ქართველური თემი (/თემები) იყო ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების წარმმართველი და რომლის მეტყველება დაედო საფუძვლად ქართულ ანბანს?

ძველი წყაროების მიხედვით, ძვ.წ. I ათასწლეულში ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე აქტიურად ჩანან: **კოლხები/კოლაელე-ბი, მოსხები/მესხები, ტაოხები, ტიბარენები, სასპეირები, ხალიბები, ხალდეები/ქალდეები, ეკრიკტიკეს მცხოვრებნი/ეკექეძრები, ჰენიოხე-ბი, სანები, სანიგები/სანიკები** (ტერმინები: კოლხები და მესხები სხვადასხვა დროს კონკრეტულ თემებსაც მიემართებოდა და ტომთა გაერთიანებებსაც)... უცხოური წყაროების მიხედვით, ამ პერიოდის ქართველურ ტომთა აღმნიშვნელ სახელებს შორის ყველაზე პოპულარულია **კოლხი**; აკ. ურუშაძის და სხვათა ვარაუდით, თავდაპირველად, **ბერძნები კოლხეთში მთელ ქართველურ სამყაროს გულისხმობდნენ** (აკ.ურუშაძე, 1964, გვ.6); აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა დროს ქართველური ტომების ამ ტერიტორიის სახელად გვიდასტურდება: **აღმოსავლეთის იბერია** (შდრ.: პირინეის ნახევარკუნძული - დასავლეთის იბერია) და **კავკასიის იბერია**; კერძოდ, ტერმინები: **კავკასიის იბერია** და **აღმოსავლეთის იბერები** პირველად ჩნდება ძვ.წ. IV-II საუკუნეების ავტორებთან: მეგასტენესთან, თეოფრასტოსთან, დიონისე პერიეგეტთან... (გ.ვაშაკიძე, 1993, გვ.61). მაგ., პლუტარქეს ცნობით, კავკასიის მთავარი ერები ალბანელები და იბერები არიან: იბერები ბინადრობენ დასავლეთით მესხეთის (ეგფრატ-ჰოროხ-მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ) მთებთან და პონტოს



ზღვასთან, ალბანელები კი - აღმოსავლეთით, კასპიის ზღვასთან (ივ.ჯავახიშვილი, 1950, გვ.18). შდრ., აგრეთვე: სტრაბონთან სვანები იბერიულ ტომადაა მოხსენიებული, ხოლო ვატიკანში დაცული “საეკლესიო ანალების” მიხედვით, **კოლხეთი ზემო იბერიაა: “იბერიის იმ ნაწილმა, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს და კოლხიდად იწოდება,** სახარება ჯერ კიდევ იმპერატორ ტრაიანეს (98-117) დროს მქადაგებელი პაპი წმ. კლემენტის (პაპობის წლები - 88-97) შემწეობით მიიღო... რაც შეეხება ქვემო იბერებს, რომლებიც კავკასიის მთებთან, კასპიის ზღვის ახლოს ცხოვრობენ, თვლიან, რომ მათ ქრისტიანობა იმპერატორ კონსტანტინეს დროს მიიღეს“ (ი.ტაბაღუა, 1984, გვ.171)...

შესაბამისად, შესაძლებელია, რომ უცხოური წყაროების კოლხი **ქართველთა** უცხოურ სახელად დავსახოთ. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს კოლხური არქეოლოგიური კულტურის საზღვრები (სინოპედან სოჭამდე; შავი ზღვიდან მცხეთამდე): ი.გაგოშიძისა და ჯ.აფაქიძის გამოკვლევებმა საესებით დაადასტურა ბ.კუფტინის მოსაზრება, რომ **შიდა ქართლის** არქეოლოგიური მასალა კოლხური კულტურის ორგანული ნაწილია: “ათასწლეულიდან მოყოლებული, ტახტიძირისა და ცხინვალის რეგიონის არქეოლოგიური მასალა მხოლოდ კოლხური კულტურის “ფილტრაციით” ვერ აიხსნება; ქართლის იბერია უშუალო მონაწილეა დიდი კოლხური კულტურისა“ (ი.გაგოშიძე, 1964, გვ.86; ი.გაგოშიძე, 1997; ი.გაგოშიძე, 2003; ჯ.აფაქიძე, 2002); შდრ., აგრეთვე: ალ. რამიშვილის დასკვნით, II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისში კოლხური კულტურა ფართოდაა გავრცელებული “მთელი შიდა ქართლის ტერიტორიაზე“, ხოლო “თლის სამაროვანზე გამოვლენილი მატერიალური კულტურა, ძირითადად, კოლხურ-ყობანურ სამყაროსთან ჩანს დაკავშირებული“ (ალ. რამიშვილი, 1999, გვ.130).

ასევე, საყურადღებოა ქართული წყაროების ცნობები, რომელთა მიხედვითაც **ეგრისი** მუდამ ქართლის შემადგენლობაშია, ხოლო ქუჯისა და ფარნავაზის საზოგადოებებს შორის თვისობრივი ეთნოკულტურული სხვაობა არ ჩანს: ქუჯ-ფარნავაზის დროს საქართველოს/ქართლის სახელმწიფოს აღორძინება, **ხანგრძლივი ნებაყოფლობითი გაერთიანება ვერ მოხდებოდა, ქართველურ თემებს შორის არსებითი ენობრივი და კულტურული სხვაობა რომ ყოფილიყო;** შდრ.: “ქართლის ცხოვრების” მიხედვით, არაბების შემოსვლამდე **ეგრისი მუდამ ქართლის შემადგენლობაშია,** მეტიც, ტრადიციის მიხედვით, **შიდა ეგრისი ქართლის/საქართველოს მეფის კუთვნილი მიწა-წყალია.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლოგიკურია დავუშვათ, რომ ასომთავრული ანბანი შეიქმნა კოლხური/ქართველური კულტურის

შემქმნელი მოსახლეობის ოფიციალური ენის მიხედვით, რომელიც, ნაკლებმოსალოდნელია, რომ ერთი რომელიმე თემის/ტომის ენა ყოფილიყო, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ის ვერ შეასრულებდა მონათესავე თემთა მაკონსოლიდირებელ როლს. ფაქტია ისიც, რომ **ასომთავრულის ფონემური საფუძველი და არქაული სამწიგნობრო ქართულის ფონემატური სტრუქტურა** უფრო ნაკლებად ემთხვევა მცხეთა-თბილისის რეგიონის გვიანდელი მეტყველების - ქართლურის თუ მესხურისა და ეგრისის გვიანდელი მეტყველების - მეგრულის მონაცემებს, ვიდრე სვანურისას თუ ტაოურისას; ამავე დროს, სხვა ენობრივი მოვლენების მიხედვით, სვანური თუ ტაოური შესამჩნევად სცილდება სამწიგნობრო ენას; შესაბამისად, ამ ფაქტის გამოც, უნდა დავუშვათ, რომ ანბანის შექმნისას საფუძვლად გამოყენებულია ქართველური მოდემის საერთო-სალაპარაკო კონე, ან საერთოქართველური ენა.

## **საერთოქართველური ენის დათარიღების პრობლემა**

**საერთოქართველური ენის ქრონოლოგიასთან** დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ერთი ნაწილი საერთოქართველური ენის არსებობის დროდ ძვ. წ. II-I ათასწლეულებს ასახელებს (არნ.ჩიქობავა, კ.ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი, გ.მაჭავარიანი...), მეორე ნაწილი კი საერთოქართველური ენის ფუნქციონირებას შესაძლებლად მიიჩნევს ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში (თ.გამყრელიძე, ვ.ვიანოვი, თ.მიქელაძე, მ.ქურდიანი...); კერძოდ:

საერთოქართველური ენის ისტორიული ქრონოლოგიის დადგენა პირველად სცადეს ე.წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდის გამოყენებით. ამერიკელი ლინგვისტების - მორის სვოდემისა და რობერტ ლიზის მიერ გასული საუკუნის 40-იან წლებში შექმნილი **გლოტოქრონოლოგიური ანუ ლექსიკურ-სტატისტიკური მეთოდით** მონათესავე ენათა დიფერენციაციის დრო განისაზღვრება ძირითადი ლექსიკური ფონდიდან აღებული 100 ან 200 სიტყვის ცვლილების კოეფიციენტის მიხედვით. ეს მეთოდი ითვალისწინებს ძირითადი ლექსიკური ფონდის ცვალებადობის სიჩქარის ერთგვარობას ყველა ენაში. ლექსიკურ-სტატისტიკური მეთოდით ქართველურ ენობრივ ერთეულთა დიფერენციაციის დათარიღება სცადეს გ.კლიმოვმა, თ.გამყრელიძემ და გ.მაჭავარიანმა. ერთი და იმავე მეთოდით შესრულებული ორი გამოკვლევის შედეგები 1000-წლიანი სხვაობის მქონე აღმოჩნდა, კერძოდ, გ.კლიმოვის აზრით, საერთოქართველურისაგან სვანურის გამოყოფა დაიწყო II ათასწლეულის, ხოლო ზანურისა - I ათასწლეულის დასაწყისში

(გ.კლიმოვი, 1952, გვ. 119). თ.გამყრელიძისა და გ.მაჭავარიანის აზრით კი, საერთოქართველურისაგან სვანურის გამოყოფა ძვ. წ. X საუკუნეში მოხდა, ხოლო ქართულ-ზანურის დიფერენცირება - ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 17). საერთოქართველური ენის დივერგენციის განსხვავებული სქემაა წარმოდგენილი თ.გამყრელიძისა და ვივანოვის შრომაში “ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები”; კერძოდ, ამ ნაშრომში საერთოქართველური ენის არსებობის დროდ მიჩნეულია ძვ. წ. IV ათასწლეული.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია გლოტოქრონოლოგიური მეთოდის ნაკლზე. იგი მხედველობაში არ იღებს ენის ცვლილების განსხვავებულ ტემპს სხვადასხვა ეპოქაში და ლექსიკის ცვლის სიხშირის ხარისხის განსაზღვრისას ვერ ითვალისწინებს ინტენსიური გავლენის ან სამეტყველო კოდთა შერევის როლს; ეს მეთოდი ნაკლებსანდოა იმიტომაც, რომ საანალიზო ერთეულთა სიაში ერთი უზუსტო ფორმის მოხვედრაც კი მკვეთრად ცვლის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს (გლოტოქრონოლოგიის “მყიფე მეთოდების” შესახებ იხ. კ.ბერგსლანდი, ჰ.ფოგტი, 1972; დ. კრისტალი, 1989, გვ. 331; ბ.ჯორბენაძე, 1997, გვ.140-141; ტ.ფუტკარაძე, 2000, გვ. 327; თ.გვანცელაძე, 2004...).

კ.ბერგსლანდისა და ჰ.ფოგტის აზრით, “საერთოქართველური ენა ძველი წელთაღრიცხვის ბოლო ათასწლეულში უნდა მოვათავსოთ“ (კ. ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი, 1972, გვ.255).

არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, **საერთოქართველურის არსებობა ძვ. წ. I ათასწლეულშია სავარაუდებელი.** ცნობილი მეცნიერი ასე მსჯელობს:

“იბერიულ-კავკასიური ენები მონათესავე ენებია, მათ წარმოშობა აერთიანებს. ეს ძველისძველ ვითარებას გულისხმობს; სავარაუდოდ, **სამი ათასი წლის წინანდელს** და, ალბათ, ძველ ადგილ-სამყოფელს, კავკასიის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალს. ამ ენათა განვითარება სხვადასხვა გზით წარიმართა; არა ერთს სხვა ენას გადაჰყრიან; საუკუნეთა მანძილზე არაერთი დიალექტი თუ ენა წარმოქმნილა თუ გამქრალა, გათქვეფილა სხვა ენაში. ამიტომ გასაკვირი ის კი არ არის, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებს გასაოცარი ნაირგვარობა ახასიათებს, არამედ ის, რომ ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსში (ასევე, ლექსიკაშიც) ნიშანდობლივი საერთო თვისებები შერჩენიათ“ (არნ. ჩიქობავა, 1979, გვ. 253).

ჩვენი აზრით, ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში საერთოინდოევროპულის თანადროულად არსებობდა იბერიულ-კავკასიური კონტინუუმი (ენობრივი განფენილობა), რომლისგანაც საკუთ-

რივ ქართველური ენობრივი სამყაროს გამოიძვნა დაწყებული ჩანს კავკასიასა და ანატოლიაში ინდოევროპული ნაკადის შემოსვლის შემდეგ ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე; **მკვეთრი დაშორება** კი სავარაუდოა ძვ.წ. I ათასწლეულის მანძილზე, კერძოდ, სკვით-კიმერიელთა და სპარსული მოდემის ტომთა შემოსევების დროს. ქართველური მოდემის მიერ კოლხურ-ყოზანური (**ყოზანი** - სოფელი ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, თანამედროვე ოსეთში) კულტურის შექმნის დროს, **ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან** ძვ.წ. I ათასწლეულის დასასრულამდე, ჩანს, წინარე ქართველურ ტომთა მეტყველებიდან ყალიბდება **საერთოქართველური ენობრივი ერთეული** - ძველ ქართველ ტომთა საერთო-სამეტყველო ენა.

ვფიქრობთ, არსებობს საკმარისი საფუძველი, დავუშვათ, რომ ერთმანეთს ემთხვევა ქართული ანბანის შექმნისა და საერთოქართველური ენის არსებობის დრო.

საერთოქართველურის დათარიღება ძვ.წ. II-I ათასწლეულებით და ვარაუდი, რომ სამწიგნობრო ქართული ეფუძნება საერთოქართველურს, უნდა გაამყაროს (ან უარყოს) არქაული სამწიგნობრო ქართული ენის, ქართველური ენა-კილოებისა და საერთოქართველური ენის ძირითად მახასიათებელთა სისტემურმა ანალიზმა.

## **საერთოქართველური ენა - სამწიგნობრო ქართული ენის სათავე**

**სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოქართველური ენის მოდელირების** რამდენიმე ცდა არსებობს; ყველა სერიოზული კვლევის შედეგად მიღებული საერთოქართველური მოდელი უფრო ჰგავს ძველ ქართულ სამწიგნობრო ენას, ვიდრე ერთ რომელიმე ქართველურ დიალექტს. სამაგალითოდ განვიხილავთ საერთოქართველურისა და სხვა ქართველური ქვესისტემების ურთიერთმიმართების რამდენიმე ფაქტს:

### **საერთოქართველური ლექსიკა.**

ქართველური სამწიგნობრო ენისა და კილოების მონაცემთა შეპირისპირებით სამეცნიერო ლიტერატურაში რეკონსტრუირებული საერთოქართველური ლექსიკის მორფოლოგიური და სემანტიკური სტრუქტურები ძირითადად ემთხვევა არქაული სამწიგნობრო ქართულის მონაცემებს; მასალა ვრცლადაა წარმოდგენილი ნ.მარის, ა.ცაგარელის, პ.ჭარაიას, არნ.ჩიქობავას, გ.კლიმოვის, ჰ.ფენრიხის, ზ.სარჯველაძის, მ.ჩუხუას და სხვათა ლექსიკონებში, ამიტომ მრავალ

ნიმუშთაგან აქ მხოლოდ რამდენიმე ტიპურ შემთხვევას წარმოვადგენთ:  
საერთოქართვ. \*ასული, სამწიგნ.ქართ. ასული, მესხ. ასული, ზან.  
ოსური, სვან. ასუშ;

საერთოქართვ. \*თაფლი, სამწიგნ.ქართ. თაფლი, მესხ. თაფლი, ზან.  
თოფური, სვან. თუ/თუ;

საერთოქართვ. \*ყურძენი, სამწიგნ.ქართ. ყურძენი, მესხ. ყურძენი, ზან.  
ყურზენი, სვან. ყუნძელ...

სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოქართველურისთვის აღდგენილია სამწიგნობრო ტრადიციის ამსახველი ლექსიკაც; კერძოდ, მ.ჩუხუას აზრით (2006), საერთოქართველურში სამწერლო ტრადიციის არსებობას მხარს უჭერს ისეთი ფუძეები, როგორცაა: წიგნ-“წიგნი“, ქერტ-“ქალაღდი, ტყავის ნაჭერი“ და სხვ.

### **დ, უ და ჯ ბგერები.**

საერთოქართველური ფუძეების ფონემატურ სტრუქტურაში სამი კლასი გამოიყოფა: **თანხმოვნები** (ჩქამიერები, სონორები), **სონანტები** და **ხმოვნები**. ფუძეების ხმოვანთა სისტემაში თანამედროვე ქართველურ ენა-კილოთა მიხედვით აღდგება **ა, ე, ო** ხმოვნები. **ი** და **უ** ბგერები ხან მარცვლოვანი, ხანაც უმარცვლო ალოფონებით წარმოდგებიან და, შესაბამისად, ქმნიან **სონანტთა კლასს**. **ი/ე** და **უ/უ/ვ** სონანტები დღესაც არსებობს თითქმის ყველა ქართველურ დიალექტში (მდრ.: თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მიხედვით, თანამედროვე ქართველურ ქვესისტემებში სონანტთა კლასი გამოირიცხება). თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანის, ჰ. ფენრიხისა და სხვათა აზრით, საერთოქართველურ სონანტთა რიგში აღდგება **მ, ნ, რ, ლ** ფონემებიც. არნ. ჩიქობავა, გ. როგავა, ქ.ლომთათიძე, თ.გვანცელაძე და სხვა ცნობილი მეცნიერები სამართლიანად თვლიან, რომ საერთოქართველურშიც და დღესაც **მ, ნ, რ, ლ** ბგერები **სონორებია და არა სონანტები**. სპეციალისტთა დიდი ნაწილი საერთოქართველურში ძირითადად იმავე თანხმოვნებს აღადგენს, რაც გვაქვს არქაულ სამწიგნობრო ქართულში: ხმოლები: ბ, ფ, პ; დ, თ, ტ; ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჭ; გ, ქ, კ; ყ, ვ. ნაპრალოვნები: ზ, ს; ყ, შ; დ, ხ; პ. სონორები: მ, ნ, რ, ლ. მკვლევართა ერთი ნაწილის (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, მ.ქურდიანი) აზრით, საერთოქართველურ ენაში წინანუნისმიერი ძ, ც, წ, ზ, ს და უკანანუნისმიერი ჯ, ჩ, ჭ, ყ, შ ბგერების გვერდით დამატებით სავარაუდოა შუანუნისმიერი (შუასიბილანტური) ძ', ც', წ', ზ', ს' თანხმოვნების არსებობა. ამ მოსაზრებას ფაქტობრივი მასალა ნაკლებად უჭერს მხარს.

ამრიგად: ქართული ანბანის საყრდენი მოდელის ძიების თვალსაზრისით არსებითია ის, რომ ასომთავრულში დასტურდება: **ჯ, ი**

და ჟ ბგერების აღმნიშვნელი გრაფემები, რომლებიც არსებობდა არქაულ ქართულშიც, საერთოქართველურშიც და არ არის დამახასიათებელი ქართლური და სამცხურ-ჯავახური კილოებისთვის (თუმცა დღესაც ბუნებრივია ქართველურ კილოთა უმრავლესობისთვის; გარდა ამისა, ჯ, ძ და ჟ-ს აღმნიშვნელი ასოები XIX საუკუნემდე გამოიყენებოდა სამწიგნობრო ენაში). “არქაულ ქართლურსა“ და მესხურს თუ წარმოვიდგენთ ამ ბგერებითურთ, ბუნებრივია, “არქაული ქართლურის“/მესხურის და საერთოქართველურის იდენტური მონაცემები “არქაულ ქართლურს“/მესხურს საერთოქართველურთან გაგვითანაბრებს; ე.ი. ამ შემთხვევაშიც, ლოგიკურია ვთქვათ, რომ **ასომთავრულის ფონემური საფუძველი** უფრო საერთოქართველურია, ვიდრე ქართლური (სადაც არ ჩანს ჯ).

### **ხმოვანთკომპლექსები.**

ერთი მორფემის შიგნით ქართველური ქვესისტემებისთვის დამახასიათებელი არ არის ხმოვანთკომპლექსები; მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი ხმოვანთმიმდევრობები (განსაკუთრებით: აე, ეა, ოა, აო, ოე, ეო) ყველა ქართველურ დიალექტში განიცდის ცვლილებებს: წარმოიქმნება დიფთონგი, გრძელი ხმოვანი, ან ერთი ხმოვანი. მსგავსი რამ არ დასტურდება სამწიგნობრო ენაში; შესაბამისად, შეუძლებელია დავუშვათ, რომ არქაული სამწიგნობრო ენა რომელიმე ჩვენთვის ცნობილ ქართველურ კილოს ეყრდნობა. ამ შემთხვევაშიც, ქართლური (თუ სხვა რომელიმე კილო) უფრო გვიანდელი გამოდის, ვიდრე ასომთავრულის საყრდენი მეტყველება. ბუნებრივია, ეს ფაქტიც კიდევ ერთი არგუმენტია საიმისოდ, რომ არქაული სამწიგნობრო/სტანდარტული ენისთვის ამოსავალ სტრუქტურად მივიჩნიოთ არა ქართლური ან მესხური, არამედ - საერთოქართველური ენა.

**შენიშვნა:** თუ დავუშვებთ ე.წ. “არქაული ქართლურის“ არსებობას და წარმოვიდგენთ, რომ მასში ხმოვანთკომპლექსები თავდაპირველი სახით არსებობდა, ასეთი “არქაული ქართლური“ საერთოქართველურს ან, სამწიგნობრო ენას დაემთხვევა. ხმოვანთკომპლექსების ისტორიიდან გამომდინარე თითქოს უფრო ლოგიკურია დავუშვათ, რომ **ქართლური მომდინარეობს სამწიგნობრო ენისგან** და არა სამწიგნობრო ენა - ქართლურისგან; ესეც ნაკლებარგუმენტირებადია, ვინაიდან ქართველურ სინამდვილეში არც ერთი კილო არ იღებს სათავეს სალიტერატურო ენისგან: **ყველა კილოშია** ისეთი არქაული გრამატიკული თუ ლექსიკური ფაქტები, რომლებიც **სამწიგნობრო ენის ველში არ დასტურდება, მაგრამ სავარაუდოა საერთოქართველურში.**

## **მოთხრობითი ბრუნვა.**

ქართველურ ენობრივ ქვესისტემებში მოთხრობითი (ერგატივი) ერთადერთი ბრუნვაა, რომლის ნიშნის დღეისთვის ძირითადი ალომორფები (-მან/-მა/-მ) საერთოქართველურში არ აღდგება: არქაულ სამწიგნობრო ენაში ერგატივი წარმოდგენილია სახელის **ფუძით (აბრაამ)**, უბრუნველი ნაცვალსახელებით (**მე, შენ, ჩვენ, თქვენ, მან, მათ, ვინ, თვითონ**), ან **მან ნაწევრიანი** ყალიბით (კაც-მან); სვანურ კილოებში ე.წ. ადილური ტიპის ერგატივია გაბატონებული, ხოლო ზანურ კილოებში ერგატივს აწარმოებს **-ქ** სეგმენტი (რომელიც, ჩვენი აზრით, მეგრულ, რაჭულ, ტაოურ, იმერხეულ და სხვა ქართველურ კილოებში ფართოდ გავრცელებული **ქე/ქი/ქო/ქვე/კი/ხო/ჰო** ნაწილაკის ნაშთია; ტ.ფულტკარაძე, 2005, გვ. 317-318). შესაბამისად, ლოგიკურია დაფუძვით, რომ იბერიულ-კავკასიური ენების სპეციფიკური ბრუნვის - ერგატივის **-მან/მა** და **-ქ** ნაწილაკებიანი ქართველური ვარიანტები ჩამოყალიბდა არქაული სამწიგნობრო ენის ფორმირების შემდეგ (შდრ.: საერთო იბერიულ-კავკასიური ტიპის ერგატივად თუ არ მივიჩნევთ, სვანურ კილოებში არსებული ე.წ. “ადილური ერგატივი” ჩრდილოკავკასიურ სუპერსტრატად შეიძლება ჩავთვალოთ; მისი დამკვიდრების საწყისი დრო შეიძლება დაუკავშირდეს “ქართლის ცხოვრების” ცნობას წელთაღრიცხვათა მიჯნაზე კავკასიონის სამხრეთით ჩრდილო კავკასიელების გადმოსახლების შესახებ).

სხვაგვარად: საერთოქართველურისა და არქაული ქართული სამწიგნობრო ენის მსგავსად, მეგრულ-ჭანურისა და სვანური კილოების მოთხრობითი არ გვაქვს -მან მორფემა იმიტომ, რომ **ქართველური დიალექტების** -მა/-ქ ელემენტებიანი მოთხრობითი ჩამოყალიბდა არქაული სამწიგნობრო ენის შექმნის შემდეგ; ე.ი. მოთხრობითი ბრუნვის -მა და -ქ ალომორფები ჩნდება ახ ვ. IV-VII საუკუნეების შემდეგ; ეს კი მიუთითებს საერთოქართველურისა და არქაული ქართულის თანაარსებობას წელთაღრიცხვათა მიჯნაზე და შიშინა დიალექტური წრის გვიანდლობას.

## **ხანმეტობა.**

სვანურ და ფხოვურ კილოებში პირის ნიშნად დღემდე შემორჩენილი არქაული სამწიგნობრო ენისთვის დამახასიათებელი ე.წ. ხანმეტობის დროინდელი **ხ-** პრეფიქსი:

ახ.წ. V-VII საუკუნეების **ქართული ხანმეტი ტექსტების ნორმის ანალოგიურად**, სვანურში **ხ-** პირის ნიშანი დაცულია ხმოვნით დაწყებულ ზმნებთან სუბიექტურ მეორე და ობიექტურ მესამე პირში (ხ-იშხი “იწვი”, ხ-ასყი “აკეთებ”, ხ-ატბიდე “ათბობ”... ხ-ალატ “უყვარს”, ხ-აჰუდი “აძლევს”, ხ-აგდი “სძინავს“...). იგივე ხ- პრეფიქსი უნდა გამოიყოს პირველი პირის **ხ+ჟ-** სეგმენტში (საკითხის ისტორიისა და მსჯე-

ლობისათვის იხ.: გ.როგავა, 1956; მ.სუხიშვილი, 1986; ნ.მაჭავარიანი, 1986), კერძოდ, საერთოქართველურისა და სამწიგნობრო ქართულის მსგავსად, სვანურ კილოებშიც პირველი პირის ნიშანია ჟ/ვ, რომელიც არაბაგისმიერი ხმოვნების წინ დაცულია უცვლელად, ბაგისმიერი ბგერების მეზობლად იკარგება, ხოლო თანხმოდგენით დაწყებულ ზმნებში შემონახულია ინფიქსის სახით (მსგავსი დისტრიბუცია ჩვეულებრივია სხვა ქართველურ კილოებშიც). რაც შეეხება **ხ+ჟ**- სეგმენტის **ხ**-ს, ლოგიკური ჩანს, დაფუძვანთ:

**ხ**- პირველი პირის ზმნურ ფორმაში არსებული ირიბი ობიექტის ნიშანია; დროთა განმავლობაში, სვანურ ფორმებში **ხჟ**- ერთიან მოდულად გადააზრიანდა და სხვა შემთხვევებშიც განზოგადდა.

**ჰ/ხ/ს** (< **სა-/რა-**) პრეფიქსისათვის ამოსავალი ჩანს **კლას-კატეგორიის ნიშნობა** (არნ.ჩიქობავა, 1944), ვინაიდან სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა ორი, გრამატიკულად განსხვავებული პირის – მესამე ობიექტისა და მეორე სუბიექტის წარმოდგენა ერთი და იმავე ნიშნით; შდრ., ძველი სამწიგნობრო ენის მონაცემები: აღხუმართე, შეხუაბთ... ჰესცოდე, ჰკითხე.

ძველ სამწიგნობრო ქართულშიც და სვანურ, თუშურ, ხევსურულ მასალაშიც (მი-ხ-გვრიან, ხ-ქონდა, და-ხ-კაზმავს, ხ-მკიდი, და-ხ-ფარვენ...) ამოსავალია **ს/ჰ**; დიალექტებში სავარაუდოა შემდეგი ფონეტიკური პროცესი: **ს/ჰ > ჰ > 0** და **ს/ჰ > ხ > (ღ)**: სათანადო ფონეტიკურ გარემოცვაში სწორედ **ხ**-ს (და არა **ჰ**-ს) შეუძლია მოგვცეს მჟღერი **ღ**; შდრ., ხევსურული: მალგრის, ღვანდი, ღვონებავ (შდრ., ა.შანიძე, 1920 და ა.ჭინჭარაული, 1960, გვ.96-98). გურულ-აჭარულ კილოებშიც გვაქვს პირის ნიშნად ფონეტიკურ ნიდაგზე მიღებული **ხ** (იხ. ქ.ლომთათიძე, 1938; მ.ცინცაძე, მ.ფალავა, 1998 და სხვ.), ოღონდ, აქ **ჰ > ხ** პროცესი ფუნქციური თანხმოდგენითაცაა განპირობებული; შესაბამისად, გურულ-აჭარულში გამოვლენილი **ხ** ხანმეტობის პერიოდისად ვერ მიიჩნევა.

აშკარაა:

მეორე სუბიექტური პირისა და მესამე ობიექტური **პირის ნიშნად ხ-**, ანუ ე.წ. ხანმეტობა **საერთოქართველური მოვლენა ჩანს**. საერთოქართველურშივე არსებული **ჰ/ხ** მონაცვლეობის შედეგი უნდა იყოს ზოგ კილოში **ჰ > 0** პროცესის განვითარება, ზოგან კი **ხ**-ს დამკვიდრება (შდრ.: მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ხანმეტობა და ჰანმეტობა საკუთრივ ქართული ენის ორ კილოს ასახავს).

გასარკვევი რჩება ამოსავალი ფონემის საკითხი:

ფონეტიკური პროცესების ხასიათის გათვალისწინებით, უფრო ლოგიკურია არნ.ჩიქობავასა და გ.როგავას თვალსაზრისი **ს**-ს უწინარესობის შესახებ. ნივთის კლას-ნიშანი **ს**, როგორც გ.როგავა ვარაუდობ-



და, ფონეტიკურ ნიადაგზე გვაძლევდა ჰ-სა და ხ-ს შორის გარდამავალ ბეგრას (საკითხის ისტორიისათვის იხ. გ.როგავა, 1956). ჩანს, სამწიგნობრო ენის სტანდარტიზაციის ძველ ეტაპებზე ზოგი ლიტერატურული სკოლა პირის ნიშნად ჰ-ს აზოგადებდა, ზოგი სკოლა კი - ხ-ს; საბოლოო ნორმად კი დამკვიდრდა ზმნური ფუძის დასაწყისის შესაბამისი ბუნებრივი ფონეტიკური ვარიანტები: ბაგისმიერებთან და უკანაენისმიერებთან - ჰ, წინაენისმიერებთან - ხ, სხვა შემთხვევებში - 0. ე.ი. **ზანურ-სვანური კილოების ფორმირების პროცესში მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნად** საერთოქართველურ ენაში (ენობრივ კოინეში) **გააქტიურებული იყო ხ ვარიანტი.**

**მთავარი დასკვნა:** ხ- პრეფიქსის პოვნიერებით სვანური კილოები სრულად ასახავს არქაულ სამწიგნობრო ენას, ფხოვური კილოები კი ოდნავ სახეცვლილ ვარიანტებს; შესაბამისად, ერთი მხრივ, ხანმეტობა საერთოქართველურ მონაცემად უნდა ჩავთვალოთ და მეორე მხრივ, შეუძლებელია, სვანური 1000-2000 წლიანი შუალედით დავაშოროთ არქაულ სამწიგნობრო ქართულს, რომელშიც **საერთოქართველური ხანმეტობა** ასახული.

ხანმეტობასთან დაკავშირებით საყურადღებოა თ.გვანცელაძის დაკვირვებაც: სამწიგნობრო ქართულის **ნარ-თანინი** მრავლობითი, **ხუცესი** და ზანური კილოების **უჩაში** საშუალებას უნდა იძლეოდეს, ზანურის გამოყოფის დროდ განვსაზღვროთ ახ.წ. V საუკუნე; კერძოდ, **ხუცესი** ასახავს ხანმეტობის პერიოდს, ხოლო **უჩაში** - ჰამეტობისას (აზრი გამოთქმულია ზეპირი საუბრის დროს). იგივე ხ- პრეფიქსია სვანურ **ხოშა** “უფროსი“, “დიდი“ სიტყვაში (ხ-უცესი/უჩაში/ხ-ოშა სიტყვებში ხანმეტობის **ხ**- პრეფიქსი გამოყო ა.შანიძემ; იხ. გ.როგავა, 1956, გვ. 293).

წარმოდგენილ მოსაზრებებთან მიმართებაშია გასააზრებელი საერთოქართვ. **სა** – ზან. **ო** შესატყვისობის საკითხიც:

- **ცნობილია, რომ სამწიგნობრო ქართულის სა- პრეფიქსს ზანურში შეესაბამება ო-;** ჯერ კიდევ ნ.მარისგან სამართლიანად მიჩნეულია, რომ ზანურში დაკარგულია თანხმომენითი ნაწილი: საქათმე/ ოქოთუმე, სახლი/ოხორი, \*სოცხალი/ცოცხალი/ოჩხარი... სავარაუდოა შემდეგი ფონეტიკური პროცესი: საერთოქართვ. \***სა-/ჰა** > **ზან. ჰო/ო** (არ არის აუცილებელი, დავუშვათ, რომ ზანურში გვქონდა **ხ**-ს შესატყვისი ისეთი **შ**, რომელიც ვერ ძლებს ო-ს წინ; შდრ., მ.ჩუხუა, 2003, გვ.338).

ვფიქრობთ, სამწიგნობრო ქართულის V-X საუკუნეების ხანმეტობა-ჰამეტობა-სანნარევობა, სვანურ-თუშურ-ხევსურული ხანმეტობა, ზანური \***ჰუჩაში** > **უჩაში** და \***ჰო** > **ო** პროცესები დროის ერთ მონაკვეთში იღებს სათავეს. რამდენადაც, სვანურ-ფხოვურმა კილოებმა პი-

რის ნიშნად შემოინახა **-ხ/ლ**, ლოგიკურია დავუშვათ, რომ **ზანურ-სვანური დიალექტური წრე ფორმირდება ჰაემეტობა/ხანმეტობის პერიოდში**; ეს დრო კი ემთხვევა ზანურ-სვანური დიალექტური წრის გამოძივზნის ჩვენ მიერ ზემოთ ნავარაუდევ პერიოდს – **ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისს** (აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ დროიდან ჩნდება წყაროებში **სვანების თემიც** და მათი სახელიც: **სოანას/შოანას** “სვანი“).

რატომ არ შენარჩუნდა ხანმეტობა სხვა ქართველურ კილოებში? პასუხი მარტივია: განვლილი 15 საუკუნის მანძილზე სამწიგნობრო ქართულის გავლენა უფრო აქტიური იყო ცენტრალურ, ვიდრე განაპირა ქართველურ კილოებზე, შესაბამისად, პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრთან მუდამ ახლოს მყოფი ცენტრალური კილოები (ქართლური, კახური, იმერული...) მიჰყვებოდნენ სამწიგნობრო ენის ნორმების ცვალების დინამიკას; შდრ.: ქართული სამწიგნობრო ენა ნორმირებულია და ნაკლებად იცვლება (ინარჩუნებს საერთოქართველურის ძირითად ნიშნებს), თუმცა, ხალხური მეტყველების (ცენტრალური კილოების!) გავლენით **საერო მწერლობის ენა** გარკვეულწილად მაინც იცვლება; თავის მხრივ, ხალხური მეტყველებაც (განსაკუთრებით ცენტრალური კილოები) განიცდის სამწიგნობრო ენის გავლენას... ამგვარი ინტენსიური ურთიერთობა არ არის სამწიგნობრო ენასა და განაპირა ქართველურ კილოებს შორის, ამიტომაც, ლოგიკურია, განაპირა ქართველურ კილოებში ბევრი არქაიზმიც გვქონდეს (საერთოქართველურთან მეტად დაშორების მიუხედავად) და ბევრი ინოვაციაც. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ცენტრალურ კილოთა მოსაზღვრე რეგიონებში **ამ კილოებისა და სამწიგნობრო ენის ინტენსიური გავლენით**, განაპირა კილოები უფრო და უფრო თმობს თავის პოზიციებს; მაგ., ბოლო რამდენიმე საუკუნეში (ხალხში გვარების ფორმირების შემდეგ!) მეგრული მეტყველების ტრანსფორმირება მოხდა ზემო გურულ და ქვემოიმერულ კილოკავებად.

### **თემის ნიშნები.**

ქართველური კილოების დათარიღებისა და სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი მოდელის განსაზღვრისათვის საინტერესოა ზმნურ თემის ნიშანთა ჩვენება: არქაული სამწიგნობრო ენისათვის ბუნებრივი იყო თემისნიშნის დაცვა და უთემისნიშნო ზმნებიც; ანალოგიური ვითარებაა სვანურ კილოებშიც, რაც გვაგვარაუდებინებს, რომ არქაული სამწიგნობრო ენა და სვანური დიალექტები საერთოქართველურ ვითარებას ასახავს. დროთა განმავლობაში ქართულ სამწიგნობრო ენაში გაძლიერდა თემის ნიშნის დართვის, ხოლო სხვა ქართველურ

ქვესისტემებში უნიფიკაციის ტენდენციაც; კერძოდ, თუ ფხოვერ კილოებში, გურულში, ზემოიმერულსა და აჭარულში მკრთალად შემორჩა არქაული სამწიგნობრო ენის (ანუ საერთოქართველურის) მსგავსი ვითარება, ქართლურსა და კახურში თითქმის აღარ გვხვდება უთემისნიშნო ზმნები, ხოლო მესხურსა და მეგრულ-ჭანურში თემის ნიშანთა სრული უნიფიკაციაც მოხდა (მასალისათვის იხ., ბ.ჯორბენაძე, 1995, გვ. 360-374).

დასკვნა: თემის ნიშნების ასპექტით, სვანური და არქაული სალიტერატურო ენა თანადროულ ვითარებას ასახავენ; სამწიგნობრო ენა ეყრდნობა იმ მოდელს, რომელიც დაცული აქვს სვანურს, და არა მეგრულ-ჭანურს, მესხურს ან ქართლურს.

### **“არის“ მეშველი ზმნა.**

აწყყოსა და თურმეობითის ფორმათა წარმოების პრინციპი ქართველურ ენა-კილოებში ძირითადად ერთნაირია: არქაული ქართული და ზემოსვანური კილოები მეშველ ზმნას არ დაირთავს; გვიანდელი სამწიგნობრო ენა, მეგრულ-ჭანური, ქვემოსვანური და სხვა ქართველური კილოები დაირთავენ **არის** ზმნის სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტს.

შედგენილი შემასმენლის ზმნურ კომპონენტად გამოყენებული “არის“ ზმნის ფონეტიკური ცვლილებაც ქართველურ ქვესისტემებში ერთგვარი პრინციპებით ხდება; რამდენადაც **ამოსავალი ქართველური ფორმა (არს/არის) იდენტურია არქაული სამწიგნობრო ქართულის მონაცემისა**, შესაძლებლობა გვაქვს, ქართველური მასშტაბით ვიმსჯელოთ შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის ფორმირების დროისა და ქართველურ ენობრივ ველში ალომორფთა გამოვლენის კანონზომიერების შესახებ; კერძოდ:

ძველ წერილობით ძეგლებში შედგენილი შემასმენლის ზმნურ წევრად, როგორც წესი, გვხვდება **არს** მეშველი ზმნა, სახელადი ნაწილი კი ძირითადად ფუძის სახითაა წარმოდგენილი: დახატულ არს, დაწერილ არს, მოსულ არს... იშვიათად დასტურდება ი-ხმოვნისანი ვარიანტი: **არის**.

მეგრულ-ჭანურში ძირითადია **ორენ** (< \*ა-რ-ენ) ფორმა; ხოლო სვანურ კილოებში “არის“ დამოუკიდებელი ზმნის როლშია **პრის/არის** (I პ. ხტ-არ-ი, II პ. ხ-არ-ი, III პ. ა-რ-ი. მრ.: I პ. ხტ-პ-რ-ი-დ/ლ-პ-რ-იდ, II პ. ხ-პ-რ-ი-დ, III პ. პ-რ-ი-ხ; (ხ)ტ-, ხ-, -ხ ხანმეტობისდროინდელი პირის ნიშნებია), ხოლო მეშველი ზმნის ფუნქციით დასტურდება **ლი/ლიზ/ლის**: I პ. ხტ-ი (<ხტ-არ-ი) II პ. ხ-ი (<ხ-არ-ი), III პ. ლ-ი (<ლ-არ-ი; ლ- იბერიულ-კავკასიური ენებისთვის დამახასიათებელი კლას-

კატეგორიის ნიშანია, რომელიც სვანურში პირის ნიშნად გადააზრიანდა).

ქართველურ ენა-კილოებში შედგენილი შემასმენლის კომპონენტად გამოყენებული **არის** მეშველი ზმნა შემდეგ ალომორფებს (თუ ფონეტიკურ ვარიანტებს) წარმოაჩენს:

ა) როგორც სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტთა უმრავლესობაში ყველაზე გავრცელებულია “დახატული-ა“ ტიპის წარმოება, სადაც “არის“ მეშველი ზმნისგან დარჩენილია მხოლოდ თავკიდური ა ხმოვანი; იგი ენკლიტიკურად მიერთვის წინამავალ სიტყვას: დახატული-ა<დახატული არის, დაწერილი-ა<დაწერილი არის... ძველ წერილობით ძეგლებში ენკლიტიკის შემთხვევები იშვიათია.

ბ) ზოგ დიალექტში (ხევს., ფშ., თუშ., ინგ.) ენკლიტიკის შემთხვევაში ფუძეთანხმოვნიან სახელებთან შესაძლოა დაიკარგოს მეშველზმნისეული ა ხმოვანიც, რის საკომპენსაციოდაც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის ბოლო მარცვალს მოუდის დინამიკური მახვილი; მაგ., ხევს.: ბევრ **ვაჟი** (=ვაჟია) მძიმედ დაჭრილი. თუ კაცები-ას სახლჩი, საარაყეს ჩააყენებენ, თუ ობოლ-ობოლ-**ქვრივი** (=ობოლ-ობოლქვრივი-ას), თუნდა პურსა ნუ აჭმევს (ა.ჭინჭარაული, 1960). ინგ.: დათი კოლი (=დათვის კვალია), დიდ კაცი (=დიდი ხნის კაცია), ზჭრი (=ძვირია) (გრ.იმნაიშვილი, 1966, გვ.116).

გ) ზეპირ მეტყველებაში ხშირია “არის“ მეშველზმნისეული ბოლოკიდური თანხმოვნის - III სუბიექტური პირის სუფიქსის დაკარგვის ფაქტები: **არის>არი**: დახატული არი, წასული არი... III სუბიექტური პირის ნიშანი -**ფ** ბოლოკიდურ პოზიციაში იკარგება მეგრულშიც: ჭარილ ორე/რე “დაწერილი არის“... **ფ**- სუფიქსი აღდგება ხმოვნის შემცველი მორფემების (მრ. რიცხვის -ან სუფიქსის, სხვათა სიტყვის -ია ნაწილაკის, კითხვითი ო ნაწილაკის) დართვისას, მაგ.: ორე-**ფ**-ა(ნ) “არი-ან“, ორე-**ფ**-ია “არისო“, ორე-**ფ**-ო “არის?“ ჭანურში -**ფ** სუფიქსის დაკარგვის ფაქტები იშვიათია: **ორე-ფ**.

დ) არის ზმნის ფონეტიკურ ვარიანტად ხვესურულში გვხვდება - **ას**: გაჭირებული კაცი **ას**. ეს კანონ ძველი **ას**. თითო მოშ თივაიც რო მისცათ, ისიც კაი **ას**. მკვდრის ცოლი **ას** ის, რო ქალს ქმარ მაუკვდების (ა.ჭინჭარაული, 1960, გვ.41).

ე) ინგილოურში (კაკურში) ხმოვანფუძიან სახელებთან **არის/არს** მეშველი ზმნა **ს** ვარიანტით არის წარმოდგენილი, იგი უშუალოდ ეკვრის სახელს, მაგ.: ზროხა**დს** (=ძროხა არის), მამა**დ** მეპურ**დს** (მამა მეპურე არის), საჭირო**დს** (=საჭირო არის) (გრ.იმნაიშვილი, 1955, გვ.122)

ვ) მეგრულ-ჭანურში **ორენ** მეშველი ზმნა II-III პირში ხშირად თავკიდური **ო** ხმოვნის გარეშე იხმარება: **რექ<ორექ, რენ<ორენ**: ხანტილ **რექ** “დახატული ხარ”, ხანტილ **რე(ნ)** “დახატული არის”... (შდრ. I პირის ფორმაში **ო** ხმოვანი ყოველთვის არის წარმოდგენილი: ვ-**ო-რექ** “ვარ” (მეგრ.), ვ-**ორექ/ზ-ორე** “ვარ” (ჭან.). I პირში **ო** ხმოვნის შენარჩუნება ვ- პრეფიქსის არსებობით შეიძლება აიხსნას. I პირში ხმოვანი გვაქვს ვ პრეფიქსის დაკარგვის შემთხვევაშიც: მა (ვ)-**ო-რექ** “მე ვარ” (შდრ. დიალექტებში, აგრეთვე სვანურში II პირის ფორმაში ხ-პრეფიქსი აბრკოლებს ფონეტიკურ ცვლილებას: ხარ). I პირის ფორმაში ხევსურულში თავკიდური ვა>ო: ქალი-**ორ<ქალი** ვარ (ა.ჭინჭარაული, 1960).

ზ) ქართველურ კილოებში დასტურდება ისეთი ფაქტებიც, როცა მეშველი ზმნა ერთდროულად კარგავს თავკიდურ და ბოლოკიდურ ბგერებს, კერძოდ, მეგრულ-ჭანურში ამოსავალი **ორენ** ფორმა წარმოდგენილია **რე-ს** სახით: საჭირო **რე** (<ორენ) “საჭირო არის”, ხანტილ **რე** (<ორენ) “დახატული არის”... მსგავსი ვითარება გვაქვს ფერეიდნულში, სადაც **არის** ზმნა (ძირითადად ე, **ო** ხმოვნების მეზობლად) წარმოდგენილია **რი** ვარიანტით, მაგ.: საჭირო **რი** (=საჭირო არის), კაცობის დღე **რი** (=დღე არის), იქით ვაკე **რი** (=ვაკე არის), ემეების უფროსი სხო **რი** (=სხო არის), ეგ საუზმო **რი** (=საუზმო არის) (არნ.ჩიქობავა, 1927, გვ. 201);

თ) მეგრულ-ჭანურში თანხმოვანფუძიან სახელებთან **ორენ** მეშველი ზმნის ვარიანტად გვაქვს ე: **ორენ(ნ)>რე>ე**: ხანტილიე “დახატულია”, ჭარლიე “დაწერილია”...

ი) ჭანურში **ორენ** ზმნის ძირისეული რ თანხმოვანი იცვლება **ჟ-თ: რენ>ჟენ**: სი კითხერი **ჟე-რ-ი?** (აქ რ განვითარებულია, ი — კითხვ. ნაწილაკია) “მენ ნასწავლი ხარ?” ჯიგვი ჟუი ენ “ფილტვი ორი არის” (ს.ჟლენტი, 1953, გვ. 72). შდრ. მარტვილური: **მუჟე<მუ რე** “რა არის”...

კ) ჭანურში შესაძლებელია ხმოვნებს შორის მოქცეული მეშველზმნისეული **რ** ბგერა დაიკარგოს: **ენ<რენ**: აქ გუი **ენ** “აქ გული არის” (ს.ჟლენტი, 1953, გვ.67).

ლ) ვფიქრობთ, ამ რიგში შეიძლება განვიხილოთ სვანურის **ლი** (< არის) **მორფემოიდიც**: თუ დამაჯერებელია **\*ლარი/\*ლარის > (ლ)-არ-ი > (ლ)-ი** პროცესი, მაშინ გამოდის, რომ ამ შემთხვევაშიც **დაკარგულია შუა სეგმენტი -არ-**. სვანურის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მეშველი ზმნის გამარტივება უფრო შორს არის წასული და, მსგავსად III პირისა, გაცვდა I-II პირის ფორმებიც. ეს ფაქტიც საერთოქართველური მოვლენაა: ენა ცდილობს დამხმარე სიტყვები

(მორფემოიდები) აფიქსებად აქციოს (შდრ.: ა<არს, მეგრ. ქ<ქორენ, ჭან. რ<რენ, მეგრ.-ჭან. კო<ოკო)... მსგავსი მოვლენაა ხევსურულშიც: ა.ჭინჭარაულის მოწმობით, გარკვეულ კონტექსტში შესაძლებელია **არის** მეშველი ზმნის I-II პირში ძირისეული რ ბგერა დაიკარგოს: ვა(<ვარ), ხა(<ხარ) (ა.ონიანი, 1978, გვ.204). შეიძლება ითქვას, სვანურში დამთავრებულია მეშველი ზმნის სუფიქსად ჩამოყალიბება.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სვანური, მეგრულ-ჭანური, ხევსურული თუ ინგილოური ფორმები ქრონოლოგიურად ვერ გასცილდება არქაულ ქართულს (ვრცლად იხ., ე.დადიანი, ტ.ფუტკარაძე, 2006); რაც იმას ნიშნავს, რომ სვანური (თუ სხვა ქართველური) კილოების თავისებურებები ყალიბდება სამწიგნობრო ენის ისტორიის პარალელურად.

### **კავშირებითის ყალიბი - მომავალი დროის გამომხატველი.**

არქაულ ქართულ/ქართველურ სალიტერატურო ენაში II კავშირებითის ფორმებით გადმოიცემა თხრობითი კილოს მომავალი დრო (ამიტომაც ადრეულ გამოკვლევებში ამ მწკრივს **მყოფადს** უწოდებდნენ): კაცმა (შე)ჭამოს საჭმელი = კაცი (შე)ჭამს საჭმელს; მან დაამჯუას იგი = იგი დაამხობს მას... სხვა ქართველურ ქვესისტემათაგან ანალოგიური ვითარება შენარჩუნებულია მხოლოდ ლაზურში (ფრაგმენტულად გვაქვს ჰერულსა და მესხურშიც), მაშინ როცა მეგრული და სხვა ქართველური კილოები მიჰყვება თანამედროვე ქართულს. რ.შეროზიას აზრით, ლაზურისა და მეგრულის მონაცემთა სხვადასხვაობა სათავეს იღებს VII-VIII საუკუნეებიდან; შდრ.: როგორც ცნობილია, დაახლოებით არაბობის დროს სალიტერატურო ენაში ხდება ცვლილებები მყოფადისა და ასპექტის წარმოების მხრივ (ზ.ჭუმბურიძე, 1986). სამწიგნობრო დედაენასთან მოწყვეტილ და ბიზანტიურ კულტურულ ველში მოქცეულ ლაზურ კილოს ეს ცვლილებები ნაკლებად შეეხო; სწორედ ამის გამოცაა, რომ “ზოგიერთ საკითხში ლაზურს მეტი აქვს შენარჩუნებული ძველი ვითარებისა, ვიდრე მეგრულს და თვით ქართველურ სალიტერატურო ენას“ (რ.შეროზია, 2002, გვ. 88).

წარმოდგენილი მსჯელობა კიდევ ერთი არგუმენტია არქაული სამწიგნობრო ენის საყრდენი მეტყველების უწინარესობისა ზანურ (და სხვა ქართველურ) კილოებთან შედარებით.

### **საქართველოს სამწიგნობრო ცენტრები.**

ქართველთა სამწიგნობრო კულტურა ოდითგანვე საქართველოს ყველა კუთხეში უწყვეტად იქმნებოდა დიდი ქართველი მოღვაწეების

მიერ; საყურადღებოა ისიც, რომ პირველი ასომთავრული წარწერები პალესტინაში იოვანე ლაზის მონასტერშია შემონახული. ქართული მწიგნობრობის გეოგრაფიის თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ძველი მწიგნობრები საქართველოს ყველა კუთხეში თვისობრივად ერთნაირად მოღვაწეობდნენ; შდრ., მაგ:

**სამხრეთ საქართველოში:** იოანე მოსხი, არსენ საფარელი, გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მერჩულე, ბასილ ზარზმელი, იოანე მტბევარი, იოანე ოქროპირი...

**დასავლეთ საქართველოში:** იოანე ლაზი, იოვანე მინჩხი (მარტვილელი), სტეფანე სანანოსძე, იოანე პეტრიწი, ტბელი აბუსერიძე, ჭყონდიდლების მრავალი თაობა... აქვე, საგანგებოდ დავასახელებთ ცნობილ მწიგნობრებს სვანეთიდან: გრიგოლ სვანი, იოანე ქანცხიანი (ქაცხიანი), გრიგოლ ქანცხიანი, ილარიონ სოფრომაძე, ტიმოთე პაპა, იოანე ფარჯანიანი, ვახტანგ ფარჯანიანი, იოანე ხარიტონიანი, გიორგი მოზდონიანი, მიქაელ ოდარიანი, უხოჯელიანი, შქერიანი, იოანე ჯავესიანი, დემეტრე იფარელი, ჯემდინიანი, იოანე დალიდიანი, ქერაბინ ხოჯელანი, დემეტრე ლოდელიანი, ივანე მულახელი და სხვ.

**აღმოსავლეთ საქართველოში:** ბაკური, პეტრე იბერი, იაკობ ცურტაველი, შიო მღვიმელი, გრიგოლ დიაკონი, იოანე საბანისძე, იოანე ბოლნელი, ლეონტი მროველი, არსენ იყალთოელი...

## ქართველთა სამწიგნობრო ენა დღეს: საფრთხეები და პერსპექტივები (მოკლე ექსკურსია)

“ენა არის ერის სული და  
ერის სული არის მისი ენა“  
ვილჰელმ ჰუმბოლდტი

ქართული ენის ისტორიული გზისა და პერსპექტივის შესახებ საინტერესოა ქართველ კლასიკოსთა შეხედულებები:

**ვაჟა-ფშაველა:** “ჩვენი ენის სათავეა ძველი კლასიკური ქართული ლიტერატურული ენა... მწერალი უნდა იბრძოდეს საერთოეროვნული ენის ინტერესებისთვის, რომელიც აერთიანებს ენობრივ განშტოებებს, დიალექტების სახელით რომ ვიცნობთ... **ახალი ქართული მწერლობის ვალია**, საერთოეროვნულ ენაში დაამკვიდროს ჩვენი ენის არქაული ფორმები, თანამედროვე ქართველების დიალექტებში არსებული გაურყვნელი ფორმები“...

**კონსტანტინე გამსახურდია:** “ქართული სიტყვიერი ინვენტარის გამდიდრება უნდა მოხდეს ცალკეოდნად ქართულის მარაგიდან, ცალკეოდნად ცოცხალი დიალექტებისა და ენაკავების წიაღიდან, რათა ქართული ენა მარტოოდენ მშრალი, მწიგნობრული ენა არ გახდეს... უნდა შემოვთავაზო ქართულ (სამწიგნობრო) ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურული“...

“ქართველთა ეროვნული გადაგვარების მოსურნეთ უწინარეს ენაზე მიჰქონდათ ხოლმე იერიში“ (ბ.ჯორბენაძე). **დიდი ისტორიის მანძილზე** იმპერიათა თუ ბარბაროსთა აგრესიების დროს ქართველ ერს, შესაბამისად, ქართულ ენას მრავალგზის დამუქრებია საფრთხე: მომხდური ცდილობდა ქართველობისათვის დაევიწყებინა საკუთარი წარსული, კულტურა და ენობრივ-ეთნიკურად დაეშალა იგი; საამისოდ ესწრაფოდა, ქართველური კილოების ბაზაზე შეექმნა ახალი “სამწიგნობრო ენები“ (დიალექტებზე თარგმნიდნენ სახარების ცალკეულ ეპიზოდებს, ლოცვებს და ა.შ.) და ამ კილოთა მფლობელთათვის გაეუცხოებინა წინაპრების მიერ შექმნილი დედაენა, დაევიწყებინა დედაკულტურა... XX საუკუნეში ბოლო საშიშროება შეექმნა 70-იან წლებში კომუნისტური იმპერიის მიერ:

1978 წელს საბჭოთა იმპერია შეეცადა დაემცრო ისედაც ფორმალურად არსებული კონსტიტუციური სტატუსი ქართული ენისა; საქართველოს საზოგადო მოღვაწეებმა და სტუდენტობამ (ვა-



ნურჩველად ეთნიკური წარმომავლობისა) არ დაუშვეს საბჭოთა კონსტიტუციაში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსის დაკნინება და 14 აპრილს გრანდიოზული აქცია გამართეს. იმპერია მოერიდა ვითარების გამწვავებას და უკან დაიხია. ამ დღიდან საქართველოში **ეროვნული მოძრაობის** ახალი ეტაპი იწყება: ზვიად გამსახურდიას მეთაურობით არსებული ანტიიმპერიული დისიდენტური ბრძოლა ფართო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გადაიზარდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეროვნულმა ხელისუფლებამ **14 აპრილი** გამოაცხადა **საქართველოს სახელმწიფო ენის დღედ**. აღსანიშნავია ისიც, რომ XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებაში მყოფი საოკუპაციო ადმინისტრაცია ამ დღეს **დედაენის დღედ** ან **ქართული ენის დღედ** მოიხსენიებდა, რაც, ფაქტობრივად, საქართველოს მოქალაქეებს (განსაკუთრებით, არაქართული წარმომავლობისას) ხელს უშლიდა, აღენიშნათ და ეზეიმათ **საქართველოს სახელმწიფო ენის დღე**.

ბოლო პერიოდის საქართველოში იზრდება უცხოენოვანი სკოლებისა და უნივერსიტეტების რიცხვი. საქართველოს სახელმწიფო ინტერესები მოითხოვს, კარგად გაანალიზდეს არსებული ვითარება და ძირითადად **ქართული კულტურული ფასეულობების** შესწავლა-პროპაგანდის მიზნით დაიგეგმოს განათლების რეფორმა; წინააღმდეგ შემთხვევაში, **საბჭოური რუსიფიკაცია ენისა და ერის გადაგვარების ახალი სახეობით შეიცვლება**.

**ბუნებრივია**, ქართველმა სტუდენტმა კარგად უნდა იცოდეს ერთი უცხო ენა მაინც, მაგრამ აუცილებელია საქართველოს მოქალაქეობის მქონე ახალგაზრდობა პირველ რიგში ფლობდეს საქართველოს სახელმწიფო ენას და განათლებას იღებდეს სახელმწიფო ენაზე, რამდენადაც, **კულტურის ენა** განსაზღვრავს პიროვნების ცნობიერებასა და სამყაროს ხედვა-აღქმის სისტემას... **უცხო ენით - დედაენის გარეშე გაზრდილი ადამიანი შორდება საკუთარ ფესვებს, კულტურას, ტრადიციას და ვერც სხვის კულტურას ეზიარება სრულყოფილად**; შედეგად ვიღებთ **სნობურ, არასრულფასოვან თაობას**, რომელიც ნაკლულოვნად ახდენს თვითრეალიზებას და მწირად აღიქვამს გარესამყაროს.

სახელმწიფო ენის სტატუსსა და მოქმედების არეს განსაზღვრავს ქვეყნის კონსტიტუცია (აგრეთვე - სხვა კანონები). სახელმწიფო ენა ამთლიანებს მოსახლეობის სახელმწიფოებრივ ინტერესსა და სულისკვეთებას. იგი ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერების საფუძველია; შდრ.: საქართველოს ისტორიაში ერთიანი სახელმწიფოს იდეის განხორციელების ორი უმნიშვნელოვანესი პერიოდი არსებობს და ორსავე

შემთხვევაში ენის როლის სახელმწიფოებრივი გაგება წამოიწია წინა პლანზე: ერთია ფარნავაზის მოღვაწეობის პერიოდი: “არღარა იზრახებოდა ქართლსა შინა სხუა ენა, თვინიერ ქართულისა” და მეორე - გრიგოლ ხანძთელის ეპოქა, როცა ითქვა: “ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულებს”.

მოცემული საზოგადოების მიერ თავისი **სამწიგნობრო ენის ფლობა** და ამ ენის მიხედვით თვითაღქმა უშუალოდაა დამოკიდებული **აკადემიური განათლების** ხარისხზე. მაგ.:

მრავალწახნაგოვანი ისტორიული კატაკლიზმების გამო, ლაზებს სხვადასხვა სახელმწიფოებრივ და კულტურულ ველში უხდებათ ცხოვრება. შესაბამისად, განსხვავებულია საკუთარი წარსულის ცოდნის ხარისხიც, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ეროვნულ-ენობრივი თვითაღქმის ფაქტორებზე; კერძოდ: **ლაზთა ერთი ნაწილი** (ძირითადად, სარფისა და გონიო-ახალსოფლის მკვიდრნი) არ მოწყვეტილა ქართველურ კულტურულ-სახელმწიფოებრივ ველს; შესაბამისად, ამ მოსახლეობამ იცის, რომ მეგრელთა, კახელთა, მესხთა, ფხოველთა... მსგავსად, ისინიც არიან ერთიანი ქართველური კულტურისა და საერთოქართველურ ენობრივ სტრუქტურაზე დაფუძნებული მწიგნობრობის ავტორები; მათთვის კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს მეფეების დიდი ნაწილის გარდა, ლაზურ-ჭანურ-მეგრული წარმოშობისანი იყვნენ ქართველური კულტურის შემქმნელები იოვანე ლაზი, იოანე მინჩხი, სტეფანე სანანოისძე, იოანე პეტრიწი, იოვანე მარუშისძე, ჭყონდიდლები... დადიანები, ჩიქოვანები, გამსახურდიები და მრავალი სხვა. **ლაზთა მეორე ნაწილი** აღიზარდა თურქეთის სახელმწიფოში. მას დავიწყებული აქვს თავისი კილო და, თურქული განათლების სისტემის შესაბამისად, თავს თურქად მიიჩნევს. თურქეთსა და ევროპაში მოღვაწე **ლაზთა მესამე ნაწილისათვის** უცნობია (ბუნებრივია, არა ყველასათვის!) საერთოქართველური კულტურის ქმნალობის პროცესში ლაზ-მეგრელთა მონაწილეობა, მაგრამ მათ იციან, რომ ლაზები ენობრივ-ეთნიკურად არსებითად განსხვავდებიან თურქებისაგან. ლაზთა ეს ჯგუფი საკუთარი მეტყველების ბაზაზე ცდილობს ახლა შექმნას სამწიგნობრო ენა და “გადააჩინოს” თავისთავადობა.

საქართველოს ამჟამინდელი საზღვრების გარეთ მცხოვრებ ქართველებს ხშირად არა აქვთ ინფორმაცია საკუთარი ისტორიის/კულტურის შესახებ. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ძნელი არაა სამეცნიერო ცოდნის განსაზოგადოებრიობა; ჩვენს შემთხვევაში **საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის პირობებში** უნდა შეიქმნას ობიექტური სამეცნიერო ინ-

ფორმაციის გაცვლის ველი, რომელიც ყველა ლაზს საშუალებას მისცემს იცოდეს:

1. კოლხური (კოლხურ-ყობანური) არქეოლოგიური კულტურის საზღვრები ცხადყოფს, რომ კოლხური სახელმწიფო ოცნე მეტ **ქართველურ თემს** აერთიანებდა და თავისი არსით ქართველური (ზოგადქართული) ხასიათისაა.

2. **ქართველური სამწიგნობრო ენა ეფუძნება საერთო ქართველურ ენობრივ მოდელს** და არა ქართულს, კახურს, ან სხვა რომელიმე ქართველურ კილოს; პირველი ქართული ასომთავრული წარწერები შემორჩენილია იოვანე ლაზის მონასტერში, ქართული ჰიმნოგრაფიის ფუძემდებელია ასევე ლაზი/მეგრელი იოანე მინჩხი და სხვ.

3. საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს იდეოლოგიები და წინამძღოლები მეტწილად იყვნენ ლაზურ-მეგრული წარმოშობის დიდგვაროვნები (ბაგრატიონები, ჭყონდიდლები და სხვა);

4. ლაზთა ფოლკლორში (მსგავსად იმერხეველთა, ტაოელთა, სვანთა, ჰერთა, კახთა...) გამორჩეულად პატივსაცემი ადგილი უჭირავს ერთიანი საქართველოს დიდ მეფეს - თამარს; ქართველთა საერთო ისტორიის ამსახველი ეს მასალა ი.ყიფშიძის მიერ ერთი საუკუნის წინაა ჩაწერილი.

...ამ და სხვა ანალოგიური ფაქტების ცოდნა ობიექტურ ველს შექმნის **ლაზთა თვითაღქმისათვის. ყოველ საზოგადოებრივ ჯგუფს/ერთობას (ბუნებრივია, ლაზებსაც) აქვს უფლება, იცოდეს თავიანთი წარმომავლობა.**

სამწუხაროდ, დასავლეთ ევროპაში მცხოვრები გარკვეული პირებიც **ცდილობენ** ეთნიკურ თუ **ენობრივ უმცირესობად** გამოაცხადონ და ამ გზით დიდ ისტორიულ სამწიგნობრო კულტურას მოსწყვიტონ ქართველთა ერთი ნაწილი. ამგვარი ენობრივი დივერსია ზოგს უნებურად გამოსდის საკმარისი სამეცნიერო ინფორმაციის ვერფლობის გამო; მაგ., “ევროპის ენების ცენტრის“ გრიფით 2002 წელს ესპანეთში გამოქვეყნებულ რუკებდართულ წიგნში “Europe of the Peoples” და 2000 წელს პარიზში გამოცემულ ატლასში “საფრანგეთი და სამყარო“ (La France et le Monde, Atlas) რუკის სხვადასხვა ფერით, დროშითა და ეთნიკური დასახელებით არიან წარმოდგენილი: ქართველები, აფხაზები, მეგრელები, აჭარლები, სვანები და ოსები...

განმკითხავი არავინაა!

ჯერჯერობით კი: **ჰიუიტი და კომპანია** ქმნის ახალ დამწერლობებს ქართველური კილოებისთვის, მათთვის ითხოვს რეგიონალური ენის

(ანუ: ეროვნული უმცირესობის ენის) სტატუსს და არაქართველებად აცხადებს მეგრელებს, სვანებს, ლაზებს, მესხებს... მსგავსი “განწყობის” უცხოელები ზოგჯერ საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების ექსპერტებადაც (თუ კონსულტანტებად) კი გვევლინებიან (**ერთ-ერთის შესახებ იხ., დანართში**)...

ვითარებას ამძაფრებს ისიც, რომ დღესაც საგანმანათლებლო-სამეცნიერო ოფიციალურ სადავეებთან ახლოსაა და, შესაბამისად, ფინანსურად უზრუნველყოფილია ჯგუფი, რომელიც **ევროსაბჭოს დოკუმენტების არსის გაყალბებით**, საბჭოთა “ტრადიციის” შესაბამისად, ცდილობს დამოუკიდებელი უმწერლობო ენის თუ უმცირესობის ენის სტატუსი დაუმკვიდროს ლაზურს, მეგრულს, სვანურს... რითაც საფუძველს უქმნის მავანს, ქართველთა ერთი ნაწილი საქართველოში ენობრივ ან ეთნიკურ უმცირესობად გამოაცხადოს და მათთვის ახალი სალიტერატურო ენა შექმნას; არადა, ევროსაბჭოს დოკუმენტები ამის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა.

**“ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ” და “ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ”.**

1992 წლის 5 ნოემბერს ევროსაბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა სტრასბურგში მიიღეს **“ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ”**, ხოლო 1995 წლის 1 თებერვალს აქვე ხელი მოეწერა **“ჩარჩო კონვენციას ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ”**. აღნიშნული დოკუმენტები ევროსაბჭოს წევრებისა და წევრობის მსურველთათვის წარმოადგენს სახელმძღვანელო დებულებების კრებულს ეროვნულ და ლინგვისტურ უმცირესობათა უფლებების დაცვის სფეროში; კერძოდ, **ქარტია და კონვენცია** ითხოვს:

სახელმწიფოს ძირითადი მოსახლეობისგან განსხვავებული ავტოქთონი, **აბორიგენი** ეთნიკური თუ ენობრივ-კულტურული საზოგადოებებისათვის **უმცირესობის სტატუსის** მინიჭებასა და სათანადო უფლებებით აღჭურვას.

კონვენციისა და ქარტიის მიხედვით, უმცირესობათა უფლებები შთამბეჭდავია:

**უმცირესობის ენაზე საქმისწარმოება და სწავლება ბავაბადში, სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში... იხ., მაგ., ქარტიის მე-8 მუხლის I.ე. პუნქტი:**

სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა “ხელმისაწვდომი გახადოს საუნივერსიტეტო და სხვა სახის უმაღლესი განათლება შესაბამის რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე”.

**აქვე აღვნიშნავთ, რომ:** კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, **ეროვნულ უმცირესობად** აღიარებული საზოგადოების ენა მოცემულ რეგიონში ადმინისტრაციული ორგანოების საქმისწარმოების ენად გამოცხადდება, თუკი სახელმწიფოში **ტრადიციულად მცხოვრები უმცირესობები ამ რეგიონში დღესაც უმრავლესობაში არიან, ან დიდი რაოდენობით ცხოვრობენ და, თუკი, ამავე დროს, მათ ეს სურთ (იხ. აგრეთვე ბრ-ე განმარტება).**

იხ., აგრეთვე:

ქარტიის მე-8 მუხლის I.ზ. პუნქტი:

სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები “რათა უზრუნველყოფილ იქნეს **იმ ისტორიისა და კულტურის სწავლება**, რომლის გამოხატულებასაც წარმოადგენს **რეგიონალური ან უმცირესობის ენა**“.

ქარტიასა და კონვენციას დღემდე შეუერთდა 44 ქვეყანა, რატიფიკაცია კი მოახდინა ოცდაცხრამეტმა: ბელგიის, საბერძნეთის, ისლანდიისა და ლუქსემბურგის პარლამენტებს ჯერჯერობით არ დაუდასტურებიათ მთავრობების ხელმოწერები. ევროსაბჭოს ამ დოკუმენტებს არ უერთდება საფრანგეთი.

საქართველოს ფაქტობრივი მთავრობა ევროპულ დოკუმენტებს მიუერთდა 2000 წელს; 2005 წლის 13 ოქტომბერს “საქართველოს პარლამენტმა“ დაამოწმა კონვენცია; უახლოეს ხანში იგეგმება ქარტიის რატიფიკაციაც.

**ქარტიისა და კონვენციის ეთნიკურ-ლინგვისტური ცნებების არაკომპეტენტური განმარტებებით, კერძოდ, ტერმინების:** ეროვნული უმცირესობა, ენობრივი უმცირესობა, ენა, რეგიონალური ენა, უმცირესობის ენა, დიალექტი... **ულოგიკო გააზრებით, 2000 წელსვე გაჩნდა საშიშროება, საქართველოში დაკანონებულიყო ათამდე რეგიონალური სახელმწიფო ენა; ავტოქთონად აღიარებულიყო ამდენივე ეთნიკური ჯგუფი, რომელსაც, საკუთარ ენაზე სამუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების გახსნის გარდა, უფლება ექნებოდა სახელმწიფო დაწესებულებებში საქმისწარმოებაც ქართულისგან განსხვავებულ ენაზე ეწარმოებინა და ა.შ. როგორც ზემოთ აღვნიშნა, ამჟამადაც ცდილობენ, საქართველო გამოცხადდეს მრავალეროვან და მრავალენოვან სახელმწიფოდ და საქართველოს რეგიონებში შეიზღუდოს საქართველოს ისტორიული სახელმწიფო ენის ფუნქციონირება.** არადა, ქართული ენისთვის ამგვარ საფრთხეს ნამდვილად არ ქმნიან საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტები, ვინაიდან ევროპულ ქარტიასა და კონვენციაში კარგადაა ჩამოყალიბებული უმცირესობათა უფლებები, მაგრამ **განმარტებული არ არის ტექსტში გამოყენებული ცნებები: ეროვნული უმცირესობა, ენო-**

**ბრივი უმცირესობა, კულტურული უმცირესობა, ენა, დიალექტი, ენის სახესწავლა და სხვ.**

სტრასბურგის დოკუმენტებზე ხელისმომწერი ქვეყნების ხელისუფლებების აზრით, ამ ცნებების/ტერმინების გააზრება და ეთნიკური უმცირესობებისა თუ უმცირესობათა ენების ჩამონათვალის შექმნა კონკრეტული **სახელმწიფოს კომპეტენციაა**, ვინაიდან დასახელებულ ტერმინთა მნიშვნელობის შესახებ **ევროპაში ვერ მოხერხდა შეთანხმება** მრავალწლიანი დავა-კამათის შემდეგაც კი. ამ საკითხს საგანგებოდ ეხება კონვენციის განმარტებითი მოხსენების მე-4 და მე-12 ნაწილები; მაგ., კონვენციის მე-12 განმარტებაში გვითხულობთ:

“კონვენცია არ იძლევა **ეროვნული უმცირესობის** ცნების განმარტებას იმ პრაქტიკული მოსაზრების გამო, რომ მოცემულ ეტაპზე შეუძლებელი იქნებოდა იმგვარი ფორმულირების შემოთავაზება, რომელსაც ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფო დაუჭერდა მხარს“.

მსგავს აზრს გადმოსცემს ქარტიის მე-17 განმარტებაც:

**“ქარტია არ განსაზღვრავს ენას** არც სოციალურ-პოლიტიკური თუ ეთნიკური ნიშნით, როგორც ამა თუ იმ კონკრეტული სოციალური თუ ეთნიკური ჯგუფის კომუნიკაციის საშუალებას; ამგვარად, ქარტია არ იძლევა **ენობრივი უმცირესობის ცნების განსაზღვრებას**“.

ეს აზრი უფრო მკვეთრად გამოთქმულია ქარტიის 32-ე განმარტებაში: **“ქარტია არ განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ცალკე ენად გამოხატვის ენა თუ ის ფორმა**“.

აქვე ვიტყვით, რომ არ არსებობს ენისა და კილოს გამიჯვნის უკამათო კრიტერიუმები; შდრ., მაგ., საყოველთაოდ მიღებული ენის განმარტება: **ენა არის გარკვეული სემანტიკის მქონე ბგერით ნიშანთა - ენობრივ ნიშანთა - ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემა**, რომელიც წარმოადგენს სამყაროს ხედვა-აღქმის, აზროვნების, ცოდნის შენახვის და კომუნიკაციის საშუალებას...

ცალკე აღებული **დიალექტიც ბგერით ნიშანთა ბუნებრივად მოწესრიგებული სისტემაა**; დიალექტიც წარმოადგენს სამყაროს ხედვა-აღქმის, აზროვნების, კომუნიკაციის საშუალებას; შესაბამისად, ენის ამ ლოგიკური დეფინიციის მიხედვით ვერ გავმიჯნავთ ენასა და კილოს (დაწვრილებით იხ. ტ.ფუტკარაძე, 2005).

ქარტიისა და კონვენციის განმარტებების მიხედვით, ეს და სხვა მსგავსი ტერმინები **“ყოველი კონკრეტული სახელმწიფოს შემთხვევაში ინდივიდუალურად განისაზღვრება**“ (იხ. ქარტიის განმარტებების მე-18 ნაწილი).

შდრ., აგრეთვე, ქარტიის 21-ე განმარტება:

“ქარტიის ავტორები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი ქარტიისთვის დაერთოთ **რეგიონალური და უმცირესობათა ენების სიები**, ვინაიდან, ლინგვისტური თუ სხვა სახის არგუმენტების გამო, იგი უეჭველად გახდებოდა ცხარე კამათისა და უთანხმოების საგანი...”

აქვეა დაზუსტებაც:

**“ქარტია პრეროგატივას ანიჭებს კონკრეტული ქვეყნის ხელისუფლებას**, დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით თავად განსაზღვროს ის კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებულ ამა თუ იმ ენას მიენიჭება დამოუკიდებელი ენის სტატუსი” (32-ე განმარტება).

მიუხედავად წარმოდგენილი განცხადებებისა, ევროსაბჭოს დოკუმენტებში არის **ფრიალ საყურადღებო აქცენტები**; კერძოდ:

ქარტიის განმარტებითი მოხსენების პირველივე პუნქტში ვკითხულობთ: “ევროპის მრავალი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ ამა თუ იმ რეგიონის **მკვიდრი ავტოქთონური ჯგუფები**, რომელთა მშობლიური ენა განსხვავდება ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ენისგან”.

ე.ი. ევროპული სახელმწიფოები თვლიან (სამართლიანადაც - ტ.ფ.), რომ ეროვნულ თუ ენობრივ უმცირესობად მისაჩნვეი საზოგადოება **აბორიგენი, მოცემული ტერიტორიის თავდაპირველი, ძველისძველი ბინადარი** (ავტოქთონი) უნდა იყოს; მაგ., დაბადებიდან გერმანიის მოქალაქე რამდენიმე მილიონ თურქსაც კი გერმანელები არ მიიჩნევენ ეროვნულ უმცირესობად, ვინაიდან, მიუხედავად ამ დიასპორის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიისა, ისინი აქ მაინც **მიგრანტებად არიან ჩათვლილი** (შდრ.: ავტოქთონი - ამა თუ იმ ქვეყნის ძველისძველი მკვიდრი მოსახლეობა).

**მიგრანტ** და **ავტოქთონ ჯგუფთა** ენების განსხვავების აუცილებლობა მკვეთრადაა გამოთქმული ქარტიის სხვა მონაკვეთებში:

განმარტებითი მოხსენების 31-ე ნაწილი: “ქარტიის დებულებები მოიცავს მხოლოდ **ისტორიულ ენებს**, ანუ იმ ენებს, რომლებიც დიდი ხანია გავრცელებულია მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე”.

არსებითია შემდეგი დებულებაც (რომელიც ჩამოყალიბებულია ქარტიის პირველი მუხლის ა პუნქტის მეორე ნაწილსა და ქარტიის 32-ე განმარტებაში):

**“რეგიონალური/უმცირესობათა ენები არ გულისხმობს (არ მოიცავს) სახელმწიფოს ოფიციალური ენის სახესხვაობებს, დიალექტებსა და მიგრანტთა ენებს”.**

## **რეგიონალური ენა ევროსაბჭოს დოკუმენტების მიხედვით.**

საზოგადოების ერთ ნაწილში განსაკუთრებით არაადეკვატურად იქნა გააზრებული ტერმინები **რეგიონალური ენა** და **უმცირესობის ენა**; არადა, ამ ტერმინებს ნათლად განმარტავს ქარტია:

ქარტიის I მუხლითა და ქარტიის მე-18 განმარტებით, **რეგიონალურ ენად** მიიჩნეულია სახელმწიფოში მცხოვრები იმ ავტოქთონი ეროვნული/ეთნიკური უმცირესობის ენა, რომელიც უმრავლესობაა მოცემულ რეგიონში, ხოლო **უმცირესობის ენად** ჩათვლილია ისეთი ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობის ენა, რომელიც რიცხობრივ უმცირესობაშია თავისდავე რეგიონშიც (ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, 2005ა).

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს:

როგორც წესი, ენობრივ/ეთნიკურ უმცირესობად მიიჩნევა მოცემული სახელმწიფოს ავტოქთონი **არაძირითადი** (სხვა კულტურისა და წარმომავლობის მქონე) მოსახლეობა, მაგ., ბასკები ესპანეთში). საქართველოში ერთი რომელიმე კუთხის ქართველობის მიჩნევა **ენობრივ** ან ეთნიკურ **უმცირესობად** და ქართველური კილოების სახელმწიფო ენებად გამოცხადება (იხ., აგრეთვე, ჯ.ჭიუიტის, ვ.ბოდერის, ვ.ფოიროშტაინისა და სხვათა მოღვაწეობა; მასალა ვრცლად იხ. თ.გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006) **საქართველოს ენობრივი პოლიტიკის “გარედან” დაგეგმვის მცდელობაა, რაც ვერასოდეს შეცვლის ფაქტს:**

მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო კულტურა თვისობრივად ერთნაირად იქმნებოდა სამეგრელოშიც, სვანეთშიც, მესხეთშიც და ქართლ-კახეთშიც; ამ კუთხეთა მოსახლეობისთვის **ქართული ისტორიული დედაენაა**, ადგილობრივი (საშინაო) ზეპირი მეტყველება კი - ერთ-ერთი ქართველური დიალექტი (**და არა უმცირესობის ენა!**). გარდა ამისა, **ქართველური მწიგნობრობის** მთელი ისტორიის მანძილზე ქართული/ქართველური სამწიგნობრო ენის სრულქმნა ხდებოდა ქართველთა არქაული საღვთისმეტყველო ენისა და ქართველური კილოების ბაზაზე...

დღესაც აქტუალური უნდა იყოს მსგავსი მიდგომა: სამწიგნობრო ენის განვითარება უნდა მოხდეს ძველი სამწიგნობრო ენისა და თანამედროვე ქართველური ენა-კილოების მონაცემთა საფუძველზე; ამ თვალსაზრისით, სამარადქამო ანდერძად რჩება **კონსტანტინე გამსახურდიას შემდეგი სიტყვები:**



“მე შემოგუშვი ახალ ქართულში მრავალი **გარდასული სიტყვა**; სამაგიეროდ ასევე უხვად ვასხურე ჩემს ლექსიკას ხევსურულიდან, იმერულიდან, ქართლ-კახურიდან და **მეგრულ-გურულ ენაკავეებიდან** მოტანილი სიტყვები... მე საჭიროდ დავინახე ქართული ტომების (ვანსხვევებული) ლექსიკის შეკრების ღონისძიება და ეს პირველად ვცადე კიდევაც “დიონისოს ლიმილში” და ჩემს ნოველების წიგნშიაც. მაშასადამე, ქართული სიტყვიერი ინვენტარის **გამდიდრება ახალ საუკუნეში** უნდა მომხდარიყო ცალკერძ ძველი ქართულის მარაგიდან, ცალკერძ ცოცხალი დიალექტებისა და ენაკავეების წიალიდან, რათა ქართული ენა მარტოოდენ მშრალი, მწიგნობრული ენა არ გამხდარიყო... **ქართულ ენას არ გააჩნია მონათესავე ენათა ოჯახი**, როგორც თუნდაც ფრანგულს - რომანული ენები, გერმანულსა და ინგლისურს - გერმანთა ენებისა და რუსულს - სლავური ენებისა და ენაკავეების ოჯახი. ამიტომაც სალიტერატურო ქართულის ზრდა არ შეიძლება მარტოოდენ გარეგან სესხს - ბარბარიზმებს - დაეყრდნოს. აქ უმთავრესია “შინაგანი სესხი“, ქართული ენაკავეებიდან, სვანურ-ჭანურ და ოდიშურ დიალექტებიდან ახალი და უნმარი ლექსიკური მასალის მოხვეჭა... “ (კ.გამსახურდია, რვატომეული, 1980, ტ. V, გვ. 955-956).

თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიების პირობებში დიდი პერსპექტივები აქვს ქართველთა დედაენას:

— როგორც უძველესი სამწიგნობრო ტრადიციის მქონე იბერიულ-კავკასიურ ენა, რომელიც თავის წიაღში ინახავს ადრეულ კულტურულ ფენებს თუ ინფორმაციას, დიდ როლს შეასრულებს ევრაზიის ისტორიის/კულტურის თანამედროვე მეთოდებით კვლევის პროცესში;

— როგორც საქართველოს მოსახლეობის ძირითადი საეკლესიო, სამეცნიერო, სამწერლობო და სახელმწიფო-საკანცელარიო (საქმისწარმოების) ენა, **გლობალური ქსელის საშუალებით** მალე იქცევა საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს გარეთ თუ უცხოეთში მცხოვრები ყველა ქართველის სასიცოცხლო ეთნო-კულტურულ ველად;

— როგორც სამყაროს ხედვა-აღქმის ერთ-ერთი მრავალსაუკუნოვანი და მყარი კულტურული (სტანდარტული) სისტემა, გამდიდრებული ცოცხალ ქართველურ დიალექტებში შემონახული თუ ახალწარმოქმნილი ენობრივი ფაქტებით, მომავალშიც მრავალწახნაგოვან ასპარეზს შექმნის სამყაროს შეცნობისა თუ ადამიანური შემოქმედებისათვის...

## ამრიგად:


### I.

ისტორიულ საქართველოს ტერიტორიაზე ოდითგანვე არა მხოლოდ სამი, არამედ მრავალი ქართველური ტომი/თემი არსებობდა (პრაენის ლექსიკის აღდგენის საფუძველზე კავკასიაში ქართველთა ავტოქთონობის შესახებ იხ.: ი.ჭავჭავაძე, 1987, გვ.79; გ.კლიმოვი, 1964, გვ.37; გ.მელიქიშვილი, 1970, გვ.339-340; გ.მელიქიშვილი, 1973, გვ. 121; თ.გამყრელიძე, ვ.ივანოვი, 1984, გვ.880-882; ბ.ჯორბენაძე, 1997, გვ. 47-50; მ.ქურდიანი, 2002...). შესაბამისად, ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, **ძვ.წ. I ათასწლეულის მანძილზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ ათეულობით ქართველური ტომის/თემის კილოს არსებობის შესახებ**; ეს ქართველური თემები ქუჯ-ფარნავაზის პერიოდში ქმნიან ერთიან კულტურულ-სახელმწიფოებრივ ველს, სადაც განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა საერთოქართველურისგან მომდინარე ქართულ (ქართველურ) სახელმწიფო და სამწიგნობრო ენას.

### II.

ასომთავრულის ფონემური საფუძველი და არქაული სამწიგნობრო ენა უფრო ჰგავს რეკონსტრუირებულ საერთოქართველურ ენას, ვიდრე რომელიმე ქართველურ დიალექტს; შესაბამისად, დღეისთვის ცნობილი ქართველური დიალექტებისა და სამწიგნობრო ქართულის მიმართების სქემა ასე გამოიყურება:

**საერთოქართველური ენა > ქართული სამწიგნობრო ენა**



**III.**

ქართველური ტომებისა და ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორია არავითარ საფუძველს არ იძლევა **ე.წ. ქართიზაციის თეორიისთვის**; ქართიზაცია/ქართველიზაცია, როგორც უსაფუძვლო და მეცნიერულად დაუსაბუთებელი თვალსაზრისი, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ნაკლებავტორიტეტულად უნდა ჩაითვალოს (სამეცნიერო ველში მის ავტორიზაციას მსჯელობა, ბუნებრივია, გაგრძელდება). ქართველთა სამწიგნობრო ენა, ზოგადად, ეროვნული კულტურა მრავალი საუკუნის მანძილზე იქმნებოდა საერთოქართველურისგან მომდინარე სამწიგნობრო ენით და ყველა ქართველური თემის მიერ.

#### IV.

**სამწიგნობრო ენის შექმნისა და ფუნქციონირების** თვალსაზრისით საქართველოში უნიკალური ვითარება გვაქვს:

**ტ.** ბერძნული, გერმანული, ესპანური, ფრანგული თუ სხვა სალიტერატურო ენებისგან განსხვავებით, **ქართველთა სამწიგნობრო ენა არ ეფუძნება ერთ რომელიმე დიალექტს;** შდრ.: ესპანური, კატალონიური, პროვანსული (ანუ ოქსიტანური) ლათინურისგან მომდინარე ერთგვაროვანი მოძმე ენა-კილოებია, რომლებზეც სხვადასხვა დროს შეიქმნა დამწერლობა; მათგან ზოგი გამოცხადდა სახელმწიფო ენად, ზოგი - არა; შესაბამისად, მათ შორის დღემდე გრძელდება მეტოქეობა იმის მიუხედავად, რომ ზოგ მათგანს ენის სტატუსი აქვს მინიჭებული, ზოგს - დიალექტისა (მაგ., დღემდე საკამათოა კატალონიური და პროვანსული ერთი ენის კილოებია თუ ორი დამოუკიდებელი ენაა). **სულ სხვაგვარია ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორია: თანამედროვე ქართული სამწიგნობრო ენა უშუალო მემკვიდრეა არქაული საეკლესიო ენისა, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება საერთოქართველურ ენობრივ მოდელს და არა ქართლურ, კახურ, იმერულ, მეგრულ, მესხურ თუ სვანურ ენობრივ ერთეულებს;**

**ღ.** ქართული სამწიგნობრო ენა ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც, სულ მცირე, 15 საუკუნეა უწყვეტად ფუნქციონირებს, როგორც სახელმწიფო, საეკლესიო და სალიტერატურო ენა.

**ქართული სამწიგნობრო ენა (/ქართველური სამწიგნობრო ენა; რ.შეროზია) - ქართული კულტურის, ცნობიერების ჩამომძვინვარე ფენომენი და ქართველთა თვითობის/იდენტობის განმსაზღვრელი ძირითადი, მრავალსაუკუნოვანი ფაქტორია.**

## დამოწმებული ლიტერატურა

1. **ნ.ანდლულაძე, 1968** - ნ.ანდლულაძე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1968
2. **ჯ.აფაქიძე, 2002** - ჯ.აფაქიძე, გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია; სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002
3. **გ. ახვლედიანი, 1972** - ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ.ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972
4. **გ. ახვლედიანი, 1999** - გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1999
5. **ნ. ბერძენიშვილი, 1975** - ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1975
6. **ნ. ბერძენიშვილი, 1990** - ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990
7. **კ. ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი, 1972** - კ. ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი, გლოტოქრონოლოგიის საფუძვლიანობისათვის; მიომომილველი, 6/9, თბ., 1972
8. **ი.გაგოშიძე, 1997** - ი.გაგოშიძე, არქეოლოგიური გათხრები ტანტისძირში (ქარელის რაიონი); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, კავკასიის არქეოლოგია; უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები, საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები; თბ., 1997
9. **ი.გაგოშიძე, 2003** - ი.გაგოშიძე, კოლხური კულტურა, კოლხეთი, იბერია; ქართველური მემკვიდრეობა, VII, ქუთაისი, 2003
10. **კ.გაგუა, 1976** - კ.გაგუა, დრონაკლი ზმნები სვანურში, თბ., 1976
11. **ზ. გამსახურდია, 1989** - ზ. გამსახურდია, სამეგრელოს საკითხი; ლიტერატურული საქართველო, 3 ნომბერი, 22 დეკემბერი, 1989
12. **თ. გამყრელიძე, 1959** - თ. გამყრელიძე, სიბილანტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959
13. **თ. გამყრელიძე, 1998** - თ. გამყრელიძე, "ოქროს საწმისი" და ძველი კოლხეთის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა, ანუ რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი? ლიტერატურული საქართველო, 20-27 მარტი, 1998
14. **თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965** - თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965

15. **თ. გამყრელიძე, 1989** - თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989
16. **თ. გამყრელიძე, 2000** - თ. გამყრელიძე, მესხეთ-ჯავახეთი - საერთო ქართველური წინარე სამშობლო; მესხეთი: ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000
17. **თ. გამყრელიძე, ვივანოვი, 1984** - Т. Гамкрелидзе, В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тбилиси, 1984.
18. **თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, 2001** - თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა, როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება; ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001
19. **თ. გვანცელაძე, 2004** - თ. გვანცელაძე, შენიშვნები “გლოტოქრონოლოგიის მეთოდის” საფუძველზე ქართველურ “ენათა” დივერგენციის დროის დადგენის ცდების შესახებ; XXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2004
20. **თ. გვანცელაძე, 2006** - თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006.
21. **რ. გორდეზიანი, 1993** - რ. გორდეზიანი, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თბ., 1993
22. **გ. დეეტერსი, 1930** - G. Deeters, Das khartvelische Verbtum. Vergleichende Darstellung des Verbalbaus der Sudkaukasischen Sprachen, Leipzig, 1930.
23. **ბ. დიასამიძე, 1999** - ბ. დიასამიძე, ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 1999
24. **ვ. ვაშაკიძე, 1993** - ვ. ვაშაკიძე, ტერმინები: იბერია და იბერები ანტიკურ წყაროებში; საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993
25. **ვ. თოფურია, 1967** - ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, შრომები, I, თბ., 1967
26. **გრ. იმნაიშვილი, 1966** - ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966
27. **პ. ინგოროყვა, 1957** - პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1957
28. **გ. კლიმოვი, 1952** - Г. Климов, О глотохронологическом методе датировки распада праязыка, ВЯ, №2, М., 1952
29. **დ. კრისტალი, 1989** - D. Crystal, The Cambridge Encyclopedial of Language, New York, 1989.
30. **ქ. ლომთათიძე, 1938** - ქ. ლომთათიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში; თსუ შრომები, VI, თბ., 1938
31. **ქ. ლომთათიძე, 1946** - ქ. ლომთათიძე, -ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში, იკე, I, 1946

32. **ქ.ლომთათიძე, 1946** - ქ.ლომთათიძე, დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში, იკე, I, 1946
33. **დ. ლოსაბერიძე, 1992** - დ. ლოსაბერიძე, ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხისათვის; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 146, №2, 1992
34. **ბ. მარი, 1905** - ბ. მარი, ქართველთა ეროვნება, ქუთაისი, 1905
35. **ბ. მარი, 1922** - Н. Марр, К изучению современного Грузинского языка, Петроград, 1922
36. **გ. მაჭავარიანი, 1965** - გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965
37. **გ. მაჭავარიანი, 1972** - გ. მაჭავარიანი, მეშველი ზმნის აგებულებისათვის სვანურში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის თეზისები: "მიმომხილველი", 6-9, 1972
38. **გ. მაჭავარიანი, 2002** - გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2002
39. **ბ. მაჭავარიანი, 1986** - ბ. მაჭავარიანი, ობიექტისა და სუბიექტის პირის ნიშანთა განლაგებისათვის ქართულ და აფხაზურ გარდამავალ ზმნებში; მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, თბ., 1986
40. **გ. მელიქიშვილი, 1973** - გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973
41. **დ. მუსხელიშვილი, 2005** - დ. მუსხელიშვილი, ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის II საერთაშორისო სიმპოზიუმი: ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი, თბილისი, 2005 წლის 24-26 ნოემბერი, (მოხსენებათა თეზისები)
42. **გ. მჭედლიძე, 1996** - გ. მჭედლიძე, ბაგრატ მესამის საქართველო, ქუთაისი, 1996
43. **თ. მიქელაძე, 1974** - თ. მიქელაძე, ძიებანი კილხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ-შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974
44. **მ. ნაჭყებია, 2005** - მ. ნაჭყებია, მეგრულისა და ლაზურის ურთიერთმიმართების საკითხისათვის, ქართველოლოგიური კრებული, IV, თბ., 2005
45. **რ. პატარიძე, 1980** - რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980
46. **რ. პატარიძე, 1989** - რ. პატარიძე, ქართული მწიგნობრობა, თბ., 1989
47. **ალ. რამიშვილი, 1999** - ალ. რამიშვილი, კოლხური კულტურის ინფილტრაცია შიდა ქართლში; ქუთაისური საუბრები, VI, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1999
48. **გ. რამიშვილი, 2000** - გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, თბ., 2000

49. **გ. როგავა, 1952** - გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-მედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები, თბ., 1952
50. **გ. როგავა, 1962** - გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962
51. **ა.ონიანი, 1978** - ა.ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978
52. **ა. ონიანი, 1998** - ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998
53. **ს.ხლენტი, 1953** - ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953
54. **მ. სუხიშვილი, 1986** - მ. სუხიშვილი, სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსისათვის ქართველურ ენებში; იკე, XXV, თბ., 1986
55. **ი.ტაბალუა, 1984** - ი.ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, თბ., 1984
56. **მ. ტაბიძე, 2002** - მ. ტაბიძე, ენობრივი პოლიტიკის საკითხები ქართულ სინამდვილეში; ქართველური მემკვიდრეობა, VI, ქუთაისი, 2002
57. **მ.ტაბიძე, 2003** - **მ.ტაბიძე**, ქართული ენის ფუნქციონირების აღმნიშვნელი ტერმინები და ფრაზები ქართულ ისტორიულ-ლიტერატურულ თხზულებებსა და დოკუმენტებში: საენათმეცნიერო ძიებანი, XV, თბ., 2003
58. **მ.ტაბიძე, 2003** - **მ.ტაბიძე**, ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები დავით აღმაშენებლის ეპოქაში: საენათმეცნიერო ძიებანი, XV, თბ., 2003
59. **მ. ტაბიძე, 2005** - მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005
60. **თ. უთურგაიძე, 1976** - თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976
61. **თ. უთურგაიძე, 2002** - თ. უთურგაიძე, ქართული ენა სისტემური ასპექტით; ქუთაისური საუბრები, IX, ქუთაისი, 2002
62. **აკ. ურუშაძე, 1964** - აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964
63. **ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000** - ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000
64. **ჰ. ფოგტი, 1961** - ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1961
65. **ტ. ფუტყარაძე, 1986** - ტ. ფუტყარაძე, სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიალექტთა (აჭარულის, გურულის, მესხურ-ჯავახურის, იმერხელის) მიხედვით; მაცნე, ენისა და ლიტერატურის სესია, 1986., №3, მე-7 რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესია, თეზისები, თბ., 1986
66. **ტ. ფუტყარაძე, 1998** - ტ. ფუტყარაძე, თანამედროვე ქართული ენის ნმოვანთა სისტემა, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998
67. **ტ. ფუტყარაძე, 2000** - ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ (შემდგე-



ნელ-რედაქტორი ტ.ფუტკარაძე), თბ., 2000

68. **ტ. ფუტკარაძე, 2005** - ტ. ფუტკარაძე, ეთნოლინგვისტური ტერმინები და ევროპული ქარტია უმცირესობათა ენების შესახებ, ქუთაისი, 2005
69. **ტ. ფუტკარაძე, 2005** - ტ. ფუტკარაძე, ქართველები, I, ქუთაისი, 2005
70. **ტ. ფუტკარაძე, 2006** - ქართული ენის ისტორია (პროფ. ტ.ფუტკარაძის საერთო რედაქციით), ქუთაისი, 2006
71. **შ. ფუტკარაძე, 1993** - შ. ფუტკარაძე, ჩვენებულების ქართული, ბათუმი, 1993
72. **მ.ქალდანი, 1959** - მ.ქალდანი, ა-ს გენეზისისათვის სვანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1959
73. **მ.ქალდანი, 1972** - მ.ქალდანი, სუბიექტური მესამე პირის ნიშნის საკითხისათვის სვანურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVIII სამეცნიერო სესია (თეზისები), 1972
74. **ნ. ქუთელია, 1982** - ნ. ქუთელია, ლაზური პარამითეფე (წიგნი შეადგინა ნ.ქუთელიამ, ლექსიკონი დაურთი ს.ჯიქიამ), თბილისი, 1982
75. **ნ.ქუთელია, 2005** - ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 2005
76. **მ. ქურდიანი, 1996** - მ. ქურდიანი, საერთოქართველური ენა და მისი დიფერენციაციის თანამიმდევრობის პრობლემა; ქართველური მემკვიდრეობა, I, ქუთაისი, 1996
77. **მ. ქურდიანი, 2003** - მ. ქურდიანი, ქართველურ ენათა ისტორიული ენობრივი კონტაქტები და საერთოქართველური ენის დიფერენციაციის ქრონოლოგიური საზღვრების პრობლემა; საენათმეცნიერო ძიებანი, XIV, თბ., 2003
78. **ი.ყიფშიძე, 1994** - И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, 1914: რჩეული თხზულებანი, თბ., 1994
79. **ა. შანიძე, 1920** - ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920
80. **ა. შანიძე, 1980** - ა. შანიძე, ქართველ- ფუძის ეტიმოლოგიისათვის; ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 23, თბ., 1980
81. **რ. შეროზია, 2002** - რ. შეროზია, სინტაქსური კონსტრუქციების ზოგი საკითხისათვის მეგრულ-ლაზურში, ქართველოლოგიური კრებული, I, თბ., 2002
82. **ი.ჩანტლაძე, 1998** - ი.ჩანტლაძე, კვლავ ლიზ („არის“) ზმნის შესახებ სვანურში: ქართველოლოგიური ძიებანი, თბ., 1998
83. **არნ.ჩიქობავა, 1937** - არნ.ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1937
84. **არნ.ჩიქობავა, 1940** - არნ.ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, ენიკის მოამბე, V-VI, თბ., 1940
85. **არნ. ჩიქობავა, 1944** - არნ. ჩიქობავა, გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში; სმამ, ტ. V, № 4, თბ.,

1942

86. **არნ. ჩიქობავა, 1968** - არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1968
87. **არნ. ჩიქობავა, 1979** - არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979
88. **მ.ჩუხუა, 2006** - მ.ჩუხუა, ზოგი ქართული სამწერლო ტერმინის ისტორიისათვის (იბეჭდება)
89. **მ. ცინცაძე, მ. ფაღავა, 1998** - მ. ცინცაძე, მ. ფაღავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს), ბათუმი, 1998
90. **ი. ჭავჭავაძე, 1987** - ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ.IV, თბ., 1987
91. **ა.ჭინჭარაული, 1960** - ა.ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960
92. **ზ. ჭუმბურიძე, 1986** - ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986
93. **ი. ჯავახიშვილი, 1908** - ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტფ., 1908
94. **ივ.ჯავახიშვილი, 1937** - ივ.ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფ., 1937
95. **ი. ჯავახიშვილი, 1950** - ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950
96. **ი. ჯავახიშვილი, 1960** - ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1960
97. **ი. ჯავახიშვილი, 1979** - ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1979
98. **ი. ჯავახიშვილი, 1992** - ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1992
99. **ა. ჯაფარიძე, 1994** - ა. ჯაფარიძე, ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე, თბ., 1994
100. **ა. ჯაფარიძე, 1996-2003** - ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.I-IV, თბ., 1996-2003
101. **ა. ჯაფარიძე, 2002** - ა. ჯაფარიძე, ქართული საეკლესიო ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზი), თბ., 2002
102. **ა. ჯაფარიძე, 2003** - ა. ჯაფარიძე, ორი თეორია ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ, თბ., 2003
103. **ო. ჯაფარიძე, 2006** - ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზისის სათავეებთან, თბ., 2006
104. **ბ. ჯორბენაძე, 1989** - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989

105. ბ. ჯორბენაძე, 1995 - ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995
106. ბ. ჯორბენაძე, 1997 - ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1997

**T.Putkaradze** - Full Professor, Akaki Tsereteli State University


### **The Source of the Asomtavruli Alphabet and the Georgian Literary Language - the Common Kartvelian Language Existing in the 2nd-1st Millennia BC**

From time immemorial the territory of historical Georgia was inhabited not by three but numerous Kartvelian tribes/communities (on autochthony of the Georgians in Caucasia on the basis of the reconstruction of vocabulary of the parent language, see: I.Chavchavadze, 1987, p.79; G.Klimov, 1964, p.37; G.Melikishvili, 1970, pp. 339-340; G.Melikishvili, 1973, p.121; Th.Gamkrelidze, V.Ivanov, 1984, pp.880-882; B.Jorbenadze, 1997, pp. 47-50; M.Kurdiani, 2002...). Accordingly, based on factual data we may discuss the existence of dozens of dialects of Kartvelian tribes/communities over the 1st millennium BC. In the period of Kuji and Parnavaz these Kartvelian communities formed a single cultural and state field in which the Georgian (Kartvelian) state and literary language, derived from Common Kartvelian, had a special status.

#### II.

The phonemic basis of Asomtavruli and the archaic literary language have more in common with the reconstructed Common Kartvelian language than with any Kartvelian dialect. Hence, the diagram of interrelation of the Kartvelian dialects known today and Literary Georgian assumes the following shape:

**Common Kartvelian Language > Georgian Literary Language**



**III.**

The history of the Kartvelian tribes and the Kartvelian linguistic world does not give grounds for the so-called Kartization theory. Kartization/Kartvelization, as a groundless and scientifically unfounded view, should be regarded to be of little authority in the Georgian educational sphere (discussion of its good and the bad will naturally continue in scientific circles). The literary language of the Georgians, and national culture in general were created over many centuries by all the Kartvelian tribes on the basis of the literary language, derived from Common Kartvelian.

**IV.**

As for creating and functioning of the Georgian literary language, we observe unique condition:

a) As different from Greek, German, Spanish, French or other literary (written) languages Georgian language is not based on a single dialect. Cf.:

Spanish, Catalanian Provençal (Occitan) originate from Latin, which had created their first written records in different periods. Besides, some of them gained recognition as the national tongues, some not. Consequently, there is still unresolved controversy and competitions between the languages in spite of the fact that some have received recognition in the status of languages others remain as dialects. (E.g. still, it is the subject of discussion whether Catalanian and Provençal are the dialects of the same language or two independent languages in their own rights.

The history of the Kartvelian language universe is very different from the above-mentioned language developments. Modern literary Georgian is the immediate heir of the archaic church language that, in its part, is based on the Common-Kartvelian language model and not on whichever its single dialect of Kartlian, Kakhetian, Imeretian, Megrelian, Meskhian, or Svan language units.

b) Georgian literary language is the unique in the world that functions continuously as national (state), religious and belles-lettres language for fifteen centuries.

Georgian literary language is the phenomenon that has molded the Georgian culture and consciousness; this is the many centuries-old chief factor for determining the national identity of Georgians.

## დანართი

2006 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილი წერილი (№189/12) და ფონდის პასუხის (№1-2-07/633) ფრაგმენტი



## საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის თავმჯდომარეს ბატონ არჩილ მოწონელიძეს

### ბატონო არჩილ!

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სახელით ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილი მქონდა პროექტი “ქართველური დიალექტოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მემკვიდრეობის ელექტრონული კორპუსი - I“, რომლის მიზანი იყო: საგანგებო პროგრამა-ინსტრუქციისა და კითხვარების მიხედვით დიალექტოლოგიური (ფონეტიკურად ზუსტი) და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით დეტალური ახალი ტექსტების ჩაწერა საქართველოს ისტორიულ და თანამედროვე მხარეებში: იმერხევში, იმერეთში, სვანეთში, სამეგრელოსა და რაჭაში; ჩაწერილი მასალის დი-აქრონიული და სინქრონიული სისტემური ანალიზი; ტექსტებისა და გამოკვლევების საინტერნეტო ვერსიის მომზადება და სხვ. (პროექტში მონაწილეთა რაოდენობა - 25).

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ექსპერტის მიერ ჩვენი პროექტი 100-დან 98 ქულით შეფასდა, მაინც უგრანტოდ დავრჩით მეორე ექსპერტის არალეგიტიმური ინტერესის გამო.

თქვენ (და ფართო საზოგადოების) წინაშე მე არ წარმოვადგენდი ჩემს მოსაზრებებს (თუ საჩივარს), საქმე მხოლოდ არაკომპეტენტურობასთან, კერძო ანგარებასთან ან პირად შურისძიებასთან რომ გვქონდეს (ასეთ შემთხვევაში რთულია სუბიექტურობის დასაბუთება!)...

მსჯელობას გავშლით “პროექტის ექსპერტიზის კრიტერიუმებისა“ და ექსპერტთა შეფასებების/კომენტარების მიხედვით; კერძოდ:

**ფონდის I კრიტერიუმი:** ნათლად არის ჩამოყალიბებული პრობლემის არსი, მიზანი და ამოცანები:

**I ექსპერტის შეფასება:** ნათლად არის ჩამოყალიბებული პრობლემის არსი, მიზანი და ამოცანები; **ქულა: 14-დან 14.**

**II ექსპერტის მოსაზრება:** The applicants underline commercial interests throughout the application, which is not acceptable to either the scholarly community or the people consulted in the recordings. There should be no commercial interests involved in the dissemination of the data to be worked out. These data should be provided online with free access to anybody and CDs



should be produced and disseminated at self-cost prices. Also, future integration of the data into world-wide retrieval systems should be envisaged right.

[განმცხადებელი ხაზს უსვამს კომერციულ ინტერესებს განაცხადში, რომელიც მიუღებელია როგორც სწავლული საზოგადოებისთვის, ასევე იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან ჩანაწერების წარმოებაში. არ შეიძლება არანაირი კომერციული ინტერესების გათვალისწინება მონაცემთა გავრცელებისას. ასეთი მონაცემები უნდა იყოს ხელმისაწვდომი ინტერნეტის საშუალებით, უფასოდ ნებისმიერი პირისთვის; კომპაქტ-დისკები შეიძლება ჩაიწეროს და გავრცელდეს მხოლოდ თვითღირებულების ფასად. ასევე, მომავალში მონაცემთა მსოფლიოს მასშტაბით ინტეგრაციისათვის, საძიებელი სისტემის საშუალებით მოპოვების შესაძლებლობა უნდა იქნას გათვალისწინებული].

II ექსპერტის შეფასება: **ქულა: 14-დან - 8.**

**ჩემი კომენტარი:** “II ექსპერტის“ შენიშვნა არ შეესაბამება I კრიტერიუმის შინაარსს. გარდა ამისა, ის ეწინააღმდეგება თავად თქვენი ფონდის მოთხოვნებს; კერძოდ, ფონდის III დანართის 2.1. პუნქტში “მდგრადი განვითარებისაკენ გადასვლის გეგმის“ ა) და დ) ქვეპუნქტები მოითხოვს: “მკაფიოდ ჩამოყალიბდეს პროექტის შესაძლო შედეგები რომელთა გაყიდვას ან შემოთავაზებასაც აპირებთ. დაასაბუთეთ ჩვენი ორგანიზაციის უნარი და შესაძლებლობა მიიღოთ სარგებელი პროექტის შედეგებიდან“. საკონსულტაციო შეხვედრებზე ამას დაბეჯითებით მოითხოვდნენ აგრეთვე ფონდის მესვეურებიც და, რაც მთავარია, “ექსპერტი“ იტყუება, როცა წერს, რომ ჩვენ ხაზს ვუსვამთ კომერციულ ინტერესებს (ანდა, რატომ არის საძრახისი კომერციული ინტერესი? ზოგი “კოლეგის“ მთელი მოღვაწეობა ხომ ამ მიზანს ემსახურება!); კერძოდ, ფონდის მოთხოვნის შესაბამისად **[2.1. ა) პროექტის კომერციული შედეგები], პროექტში ჩვენ გვიწერია:** ქსუ ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტი მოამზადებს 1993-2008 წლებში ჩაწერილი ქართველური (სვანური, მეგრული, იმერხეული, რაჭული, იმერული) ტექსტების ისეთ ელექტრონულ ვერსიას (დაახლოებით 1080 საათის მოცულობის აუდიომასალა და დაახლოებით 14 400, 12 ზომის A4 კომპიუტერული გვერდი), რომელიც აღჭურვილი იქნება ფოტო და ვიდეო თვალსაჩინოებებით, რესპონდენტთა ზუსტი მითითებით და დასახლებული პუნქტის ისტორიის ამსახველი მასალებით. ამგვარი კომპლექსური მონაცემების რეკლამირების შემთხვევაში დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება შეიძინონ როგორც საინტერნეტო ვერსია, ასევე კომპაქტდისკები. სარფიანი იქნება პროექტის შედეგების **წიგნად გამოცემაც**, ვინაიდან, სპეციალისტთა გარდა, ინსტიტუტის სავსე ექსპედიციების მასპინძელი ყველა დასახლებული პუნქტის მოსახლეობა დაინტერესებულია ჩვენი მასალებით (სადაც ასახულია მათი ისტორია და აწმყო).

**შდრ., აგრეთვე: ფონდის მოთხოვნა: 2.1. დ) მოსალოდნელი მოგება (დაასაბუთეთ თქვენი ორგანიზაციის უნარი და შესაძლებლობა, მიიღოს სარგებელი პროექტის შედეგებიდან); პროექტში კი ჩვენ გვიწერია:** “ქსუ ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის გამოცდილება, საერთაშორისო ავტორიტეტი, ტექსტების ჩაწერის უნივერსალური მეთოდი, თანამშრომელთა პროფესიონალიზმი და თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობა საშუალებას იძლევა, **მაქსიმალურად რენტაბელური იყოს პროექტი;** კერძოდ; პროექტის განხორციელებით დიალექტოლოგიის ინსტიტუტის სარგებელი **ხუთი** ხასიათისა შეიძლება იყოს: **ინტელექტუალური** (კარგი საკვლევი ბაზა და ფუნდამენტური გამოკვლევები), **ეროვნული** (შეინახება დიდი მოცულობის ეროვნული საგანძური), **საგანმანათლებლო** (პროექტის მონაწილეთა ერთი ნაწილი მაგისტრანტები არიან, რაც კარგ პერსპექტივას ქმნის მათთვის), **ღირსებითი** (ქსუ ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტისთვის: “სჯობს სახელისა მოხვეჭა...”) და **მატერიალური** (პროდუქციის გაყიდვით მიღებული სარგებელი)“.

**საზგასმით ვაცხადებთ:** პროექტში ტერმინი “კომერციული“ გაჩნდა ფონდის მოთხოვნის შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენს ტექსტში სულაც არ არის აქცენტირებული კომერციული ინტერესი (მეხუთეხარისხოვნადაა ჩათვლილი); შესაბამისად, “ექსპერტის“ პრეტენზია ამ მხრივ სრულიად უსაფუძვლოა და ემსახურება ერთ მიზანს: **შეფასებისას ხელოვნურად დაგვაკლოს ქულები.** თუ რა ინტერესი აქვს ე.წ. “დაუინტერესებელ უცხოელ ექსპერტს“, ამას აქვე, ქვემოთ ვნახავთ.

**ერთიც:** პროექტის მიზნების ჩამოყალიბებაში როცა ერთი ექსპერტი ქულათა მაქსიმუმს წერს, მეორე კი 45%-ით ნაკლებს, ფონდს მესამე ექსპერტისთვის მაინც უნდა მიემართა, ვინაიდან, ასეთ დროს, უკეთეს შემთხვევაში, **ერთ-ერთი “ექსპერტი“ მაინც არაკომპეტენტურია.**

**ფონდის II კრიტერიუმი:** აქვს მაღალი მეცნიერული და/ან პრაქტიკული (გამოყენებითი) ღირებულება.

**I ექსპერტის შეფასება:** პროექტი მიზნად ისახავს საშურ საქმეს. განსაკუთრებით ღირებულია, რომ ჩაწერა ხდება ადგილზე წელიწადის ოთხივე დროს. ჩაიწერება **ქართული მეტყველება თურქეთის სოფლებში,** მოწესრიგდება და თანამედროვე ტექნიკის მოთხოვნების შესაბამისად ფორმატირდება ძველი მასალა, რაც ამ მასალის გადარჩენის ტოლფასია. ელექტრონული კორპუსი, რომელიც ამ პროექტის შედეგად შეიქმნება, ძვირფასი წყარო იქნება სხვადასხვა დარგის მკვლევართათვის.

**ქულა: 24-დან - 24.**

II ექსპერტის მოსაზრება: The collection and audio-visual documentation of data of spoken languages, esp. of endangered vernaculars, is certainly a primary task of present-day linguistics. In the given application, the use of the term “dialect” as extending to Svan and Megrelian (which are clearly distinguished languages in their own right) is misleading, however. The choice of but one location for these languages (which include dialects of their own) is hardly justifiable.

[ჩვენი დროის ლინგვისტიკისათვის უპირველესი ამოცანაა სალპარაკო ენების აუდიო-ვიზუალური დოკუმენტაცია, განსაკუთრებით საფრთხის ქვეშ მყოფი დედაენებისთვის. მოცემულ განაცხადში შეცდომაა ტერმინის “დიალექტი” გამოყენება სვანურის და მეგრულის მისამართით (რომლებიც ნათლად განსხვავებული ენები არიან მათი ყველა უფლებით). ამ ენებისათვის ერთი ადგილის მიჩნევა (რომლებიც თავისთავად საკუთარ დიალექტებსაც შეიცავენ) ძნელად თუ შეიძლება სამართლიანი იყოს].

**ქულა: 24-დან - 16.**

**ჩემი კომენტარი:** ორივე ექსპერტს მოეთხოვებოდა, შეეფასებინა “პროექტის მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება”; ეს გააკეთა კიდევ პირველმა ექსპერტმა (შეფასებით: 24-დან 24 ქულა!). იმერხევში, აბაშაში, ლენტეხში, მთარაჭაში დიალექტოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული მასალის ჩაწერის მნიშვნელობა მეორე ექსპერტმაც იცის, მაგრამ მაინც, 24 ქულიდან მხოლოდ 16 ქულით “შეგვიფასა” ჩვენი 25-კაციანი პროექტი და თან დაგვიძღვრა: სვანური ენაა, მეგრული ენაა...

კონტექსტთან შეუსაბამო მსჯელობა და ფონდის მეორე კრიტიკრიუმთან მიმართებით პატივცემული “ექსპერტის” **სრულიად არაადეკვატური** შეფასება (და მსჯელობაც), ჩანს, განაპირობა მეგრულის და სვანურის “სადაო სტატუსმა”; კერძოდ: **სამეცნიერო წრეებში** მძაფრი კამათია ქართველური ენობრივი ერთეულების სტატუსის შესახებ:

რამდენადაც, **სხვა ქართველთა მსგავსად, სვანები და მეგრელები** მრავალი საუკუნის განმავლობაში ზოგადქართულ ენაზე (რომელიც საერთოქართველურისგან მომდინარეობს) - დედაენაზე - ქმნიან წერილობით კულტურას, სპეციალისტთა ერთი ნაწილის აზრით, ზანურ-სვანური ადგილობრივი მეტყველებები (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლენტეხური, მეგრული...) დიალექტებია/ენა-კავებია (შდრ., პატივცემული “ექსპერტის” საპირისპიროდ, **არნ.ჩიქობავას აზრით**, ზანურის დიალექტს - მეგრულს - თავისი კილოკავები აქვს და არა, როგორც ენას - დიალექტები); **მეორე ნაწილი კი თვლის**, რომ სვანებს, ლაზებს და მეგრელებს საკუთარი დამწელობა/წერილობითი ტრადიცია არა აქვთ (იყენებენ “ქართების” მიერ შექმნილ სალიტერატურო ენას); სვანური, მეგრული/ზანური უმწერლებო ენებია; კერძოდ:

პირველ მოსაზრებას ძირითადად იცავდა და იცავს მოწინავე ქართული საზოგადოება (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ამბროსი ხელაია, ივანე ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია...) და სამეცნიერო წრეების ერთი ნაწილი (სილოვან ხუნდაძე, პეტრე ჭარაია, პავლე ინგოროყვა, გიორგი წერეთელი... თეიმურაზ გვანცელაძე, მანანა ტაბიძე, მერაბ ნაჭყებია, ნომადი ბართაია, რევაზ შეროზია, მე და მრავალი სხვა), მეორეს კი - საქართველოს დაშლად ქუცმაცების მომხრე პრორუსულიმპერიული ჯგუფები (ქეპოპე პატკანიანი, ივანე ვოსტორგოვი, ჯორჯ ჰიუტი...) და სამეცნიერო წრეების მეორე ნაწილი (თამაზ გამყრელიძე, ალექსანდრე ონიანი, იოსტ გიპერტი, კახა გაბუნია... საკითხის ისტორიისთვის იხ., თ.გვანცელაძე, ენისა და კილოს საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006).

სრული **პასუხისმგებლობით ვაცხადებთ**: ჩვენ მიერ საქართველოს ეროვნულ ფონდში წარდგენილი პროექტი **საერთოდ არ ისახავს მიზნად** ქართველური ენობრივი ერთეულების სტატუსის საკითხის გარკვევას, ვინაიდან ჩემი პოზიცია და არგუმენტები ნათლად მაქვს ჩამოყალიბებული წიგნებში: “ქართველები” და “ქართული ენის ისტორია”; იმის გამო, რომ ქართველური დიალექტურ-ეთნოგრაფიული მასალა ინტენსიურად იკარგება შავშეთ-კლარჯეთში, სვანეთში, სამეგრელოში, რაჭაში, საინგილოსა თუ ფერეიდანში, შესაძლო ექსპერტებთან პოლემიკის თავიდან აცილების მიზნით, წარმოდგენილ პროექტში ქართველური ენობრივი სამყაროს წევრებს მე ყველგან ვიხსენიებ ზოგადი ტერმინით: “ენობრივი ერთეული” და საერთოდ არ გვაქვს გამოყენებული შესიტყვებები: მეგრული კილო, მეგრული დიალექტი, სვანური კილო, სვანური დიალექტი და ა.შ. მაშ, საიდან და რატომ მოიტანა **“ობიექტურმა”** უცხოელმა ექსპერტმა ეს ბრალდება?

**პასუხი ერთია**: “ექსპერტი” **ჰიუიტ-გიპერტის ჯგუფის წევრია** და მიზნად აქვს “ჩაძიროს” პროექტი, რომლის ავტორიცაა მათი ოპონენტი. რაც შეეხება ჩემს ოპონენტობას: ბოლო წლების ერთ-ერთ ნაშრომში ვწერდი (დღესაც აქტუალურია ეს საკითხი):

“სამწუხაროდ, გარკვეული ძალები **დღესაც ცდილობენ** საქართველოში ეთნიკურ თუ **ენობრივ უმცირესობად** გამოაცხადონ და ამ გზით დიდ ისტორიულ სამწიგნობრო კულტურას მოსწყვიტონ:

**ლაზები, მეგრელები, სვანები...** ამგვარი ენობრივი დივერსია ზოგსაც უნებურად გამოსდის საკმარისი სამეცნიერო ინფორმაციის ვერფლობის გამო; მაგ., “ევროპის ენების ცენტრის” გრიფით 2002 წელს ესპანეთში გამოქვეყნებულ რუკებდართულ წიგნში “Europe of the Peoples” და 2000 წელს პარიზში გამოცემულ ატლასში “საფრანგეთი და სამყარო” (La France et le Monde, Atlas) რუკის სხვადასხვა ფერით, დროშით და ეთნიკური დასახელებით არიან წარმოდგენილი: ქართველები, აფხაზები, მეგრელები, აჭარლები, სვანები და ოსები... ბოლო მსგავსი დაუს-

აბუთებელი განცხადება გაკეთდა 2005 წლის 23 დეკემბერს განათლების სამინისტროში **ჯ.პიუტისა და ი.გიბერტის კოორდინატორობით** წარმოდგენილი პროექტის პრეზენტაციის დროს (ქართველთა რამდენიმე დი-ალექტი ეთნიკურ უმცირესობათა ენებად იყო გამოცხადებული პროექტის ავტორთა მიერ). ნიშანდობლივია: პროექტი ფინანსდება **პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზების გამო ასამილაციის ან გადაშენების პირას მყოფი ეთნიკური ჯგუფის/ხალხის ენების გადასარჩენად Volkswagen-stiftung** -ის მიერ **გამოცხადებული პროგრამის ფარგლებში**“.

დავძენ: მიმაჩნია, რომ გადაშენების პირას მყოფი ხალხები არ არიან მეგრელები და სვანები; ისინი ძირძველი და პერსპექტიული ქართველები არიან სხვა კუთხეების ქართველთა მსგავსად; გადასარჩენია ქართველური დიალექტური მეტყველება (სწორედ ამ მიზნით შეიქმნა თავის დროზე ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც წლების მანძილზე წარმატებით მუშაობს).

აქვე აღვნიშნავთ:

ქართული ენის (ქართველური ენათმეცნიერების) მიმართულებით შერჩეული ზოგი ე.წ. უცხოელი თუ შინაური ექსპერტის ქმედება **დანაშაულად შეიძლება კვალიფიცირდეს ინტერესთა კონფლიქტის გამო**; კერძოდ, მათ ლობირება გაუწიეს იმ პროექტებს, რომელთა მონაწილენი თავად (ან მათი პირადი მეგობრები) არიან, ან რომელთა იდენტური პროექტი **სხვა სახელმწიფოს** გრანტსაც იღებენ (ასეთია მაგ., ი.გიბერტისა და ი.ჩანტლაძის მონაწილეობით არსებული პროექტები კოდორის ხეობის მოსახლეობის ენის შესახებ (იხ. ფონდში გამარჯვებული პროექტი და ECLinG).

**ფონდის III კრიტერიუმი:** პროექტის ძირითად შემსრულებლებს გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება.

**I ექსპერტის შეფასება:** პროექტის ძირითად შემსრულებლებს გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება (ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები, მათ შორის, ბოლო 5 წლის განმავლობაში პროექტის თემატიკის გარშემო; საერთაშორისო კონგრესებში, სიმპოზიუმებში, კონფერენციებში, სემინარებში, საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა და ა.შ.).

**ქულა: 23-დან - 23.**

**II ექსპერტის მოსაზრება:** The necessary expertise to “create the synchronization of the textual and visual files” is not visible in the CV of any one of the (many) project members. Considering the activities concerning this problem

which have been undertaken by institutions in western countries in recent years (which seem to have been ignored by the applicants), this is anything but a trivial task. See (4) below.

[“ტექსტური და ვიზუალური ფაილების სინქრონიზაციის“ საჭირო გამოცდილება არ არის თვალნათლივ მითითებული პროექტის წევრების უმრავლესობის ავტობიოგრაფიებში. იმ აქტივობების მხედველობაში მიღება, რომლებიც ინსტიტუტმა დასავლეთის ქვეყნებთან განახორციელა მიმდინარე წლებში, უმნიშვნელოა. იხილეთ (4) ქვემოთ].

**ქულა: 23-დან - 14.**

**ჩემი კომენტარი:** მსოფლიოში ყველა ქართველოლოგმა იცის, რომ დაკარგვის საშიშროების ქვეშ მყოფი ქართველური დიალექტურ-ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალის ფიქსაციის მიზნით ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტი მრავალი წელია წარმატებით მუშაობს: სვანეთში, სამეგრელოში, იმერეთში, შავშეთში და ა.შ. (**ამას ადასტურებს I ექსპერტის დასკვნაც**); რაც შეეხება “ტექსტური და ვიზუალური ფაილების სინქრონიზაციის“ გამოცდილებას: ეს გამოცდილება პროექტის მონაწილე რამდენიმე სპეციალისტს აქვს (და არა ყველა მონაწილეს); გარდა ამისა, ქართველური დიალექტური ხმისა და ტექსტის სინქრონიზირება ტექნიკის უახლესი მიღწევაა; ასეთი დეტალების დაზუსტებას ფონდი არ ითხოვდა, **ალბათ იმიტომაც**, რომ ზოგ დანტერესებულ “ექსპერტს“ არ მიეთვისებინა ესა თუ ის იდეა/მეთოდი. ჩვენი მხრივ დავძინეთ: პრაქტიკაში უკვე გვქონდა, რომ კარგად ნაცნობმა ერთმა უცხოელმა კოლეგამ 2000 წელს მიითვისა ჩვენი იდეა “**ქართველური დიალექტური ვიდეომასალის ბანკის შექმნის შესახებ**“ (და ჩვენ გარეშე კარგად დაფინანსებულ პროექტადაც აქცია; ქართველოლოგიკავკასიოლოგიის მიმართულებაში ასევე არაიშვიათია, ზოგი უცხოელი თუ უცხოეთში “მოღვაწე“ პირისგან ქართველ მეცნიერთა კვლევების შედეგების გამოქვეყნება ქართველ ავტორთა დამოწმების გარეშე და სხვ.)“.

**ფონდის IV კრიტერიუმი:** ნათლად არის ჩამოყალიბებული მოსალოდნელი შედეგები, მათი მიღწევისა და შეფასების მექანიზმები ამოცანების შესრულების მიხედვით

**I ექსპერტის შეფასება:** მთლად ნათლად არ ჩანს, რა პრინციპებით შეირჩევა და შედგება სარეკომენდაციო ლექსიკა დიალექტებიდან სამწიგნობრო ენისათვის, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს პროექტის ძირითადი მიზნის მნიშვნელობას.

**ქულა: 19-დან - 18.**

II ექსპერტის მოსაზრება: by no means clear how the applicants intend to provide “synchronized files of the audio and video materials“ (e.g. in task 4 of

quarter 1). There is no reference to any technology or standard they intend to adhere to in this respect. See (3) above. – It remains unclear why a fourfold recording (once per season) might “guarantee the preciseness of the recording materials.” It would be better justified to make recordings in several places instead.

[არანაირად არაა გასაგები, თუ როგორ განიზრახა აპლიკანტმა მოეწოდებინა სინქრონიზებული აუდიო და ვიდეო მასალების ფაილები“ (მაგალითად მე-4 დავალების პირველ მეოთხედში). არ არის მითითებული, თუ რომელი ტექნოლოგიის ან სტანდარტის საშუალებით განიზრახავენ ჩანაწერების გაკეთებას. იხილეთ (3) ზემოთ. გაუგებარი რჩება, რატომ შეიძლება გახდეს ჩანაწერები “ჩაწერილი მასალების სიზუსტის გარანტია“. უკეთესი გამართლება ექნებოდა ჩანაწერების გაკეთება რამოდენიმე ადგილზე, ნაცვლად განაცხადში მითითებული მოდელისა].

**ქულა: 19-დან - 10.**

**ჩემი კომენტარი:** ამ შემთხვევაშიც თითქმის 50%-იანი სხვაობა ექსპერტთა შეფასებებში! აშკარაა, მეორე ექსპერტმა ვერ (თუ არ?) გაიგო: ჩვენი მიზანია მასალის ჩაწერა წლის ოთხ სხვადასხვა დროს სეზონური სამუშაოების დროს (ეს მეთოდი განსაკუთრებით ფასეულია ეთნოგრაფიული მასალისა და დარგობრივი ლექსიკის მოძიებისთვის!) და არა მარტივად: ერთ ადგილზე ოთხჯერ ჩაწერა (როგორც “ექსპერტს“ მოეჩვენა)...

აშკარაა ისიც, რომ, მას როგორც ტექნიკოსს (და არა როგორც ქართველოლოგ ლინგვისტს!), ძალიან აინტერესებს, რა მეთოდით მოვახდენთ ხმისა და ტექსტის სინქრონიზებას.

**ფონდის V კრიტერიუმი:** პროექტის განხორციელება შემოთავაზებული დროისა და ბიუჯეტის ფარგლებში რეალისტურია:

**I ექსპერტის შეფასება:** პროექტის შემსრულებელთა კომპეტენციისა და პროექტის ხელმძღვანელის გამოცდილების გათვალისწინებით, პროექტის განხორციელება შემოთავაზებული დროის ფარგლებში რეალისტური ჩანს.

**ქულა: 11-დან - 11.**

**II ექსპერტის მოსაზრება:** See (3) and (4) above.

**ქულა: 11-დან - 6.**

**ჩემი კომენტარი:** V კრიტერიუმით ეროვნული ფონდი ექსპერტისგან ითხოვს პროექტის განხორციელების დროისა და ბიუჯეტის რეალურობის შეფასებას; “ექსპერტი“ ამ შემთხვევაშიც არაადეკვატურია, შეფასებას კი ანახევრებს!

**ფონდის VI კრიტერიუმი:** ნათლად არის აღწერილი პროექტის მიზნის მიღწევის ძირითადი სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდები, ხოლო არსებული და მოთხოვნილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენება რეალისტურია:

**I ექსპერტის შეფასება:** კარგი იქნებოდა, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო მასალის მორფოლოგიური, თემატური და სხვა სახის ინდექსირებაც მასალის კომპიუტერში შეტანის ეტაპზე.

**ქულა: 9-დან 8.**

**II ექსპერტის მოსაზრება:** See (3) and (4) above. – The project will mostly be based on audio cassette recordings, video recordings being only planned as an additional source of information as it seems. This is not in accordance with the present state-of-the-art in documentary linguistics. Recordings should in any case be made primarily in digital video format.

[იხილეთ (3) და (4) ზემოთ - პროექტი ძირითადად დამყარებული იქნება აუდიო-კასეტებზე შესრულებულ ჩანაწერებზე, როგორც ჩანს, ვიდეო ჩანაწერების გაკეთება მხოლოდ დამატებით წყაროდ იქნებოდა გათვალისწინებული. ეს არ იქნება შესაბამისი დოკუმენტალური ლინგვისტიკის თანამედროვე მდგომარეობისა. ჩანაწერები ყველა შემთხვევაში, ძირითადად ციფრული ვიდეო ფორმატით უნდა იქნეს ჩაწერილი].

**ქულა: 9-დან - 4.**

**ჩემი კომენტარი:**

პატივცემული “ექსპერტი“ ამ შემთხვევაშიც ატყუებს ფონდს:

იგი მიუთითებს, რომ ჩვენ (აპლიკანტებს) ორიენტაცია აღებული გვაქვს აუდიო ჩაწერებზე და ციფრული ვიდეო ტექნიკის გამოყენებას დამატებით ვაპირებთ. არადა, პროექტით გათვალისწინებულია: წლების წინ მალფუჭებული აუდიოკასეტებით ჩაწერილი ძვირფასი ტექსტების გადაყვანა ელექტრონულ ვერსიაში (დამატებით, ხმისა და ტექსტის სინქრონიზაცია); გარდა ამისა, ციფრული აუდიო და ვიდეო ტექნიკით ახალი მასალის ჩაწერა.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ტაოში, შავშეთში, სვანეთში, ზემო იმერეთში, ზემო რაჭაში, სამეგრელოში, საინგილოში, ფერეიდანში ჯერ კიდევაა შემორჩენილი **ფრიად ფასეული ენობრივ-ეთნოგრაფიული მოვლენები**, რომელთა ფიქსაცია სასწრაფოა; ვიდეოაპარატურით ჩაწერა დიდ თანხებთანაა დაკავშირებული; შესაბამისად, ამ მხარეებში მასალის ჩაწერა ციფრული აუდიოაპარატურით მაინც თუ მოესწრება, დიდი საქმე გაკეთდება, რამდენადაც, განსაკუთრებით ირანსა და თურქეთში, უახლოეს ხანში ამ განძს სამუდამოდ დაკარგვა ემუქრება... თუმცა, ეს არ



ენაღვლებათ იმ ადამიანებს, ვინც მზად არიან, გრანტების ხელში ჩაგდების მიზნით, ქართველთა ერთი ნაწილი გადაშენების პირას მყოფ არა-ქართველებად, მათი ენა კი საქართველოს **ეთნიკურ/ენობრივ უმცირესობათა ენად** გამოაცხადოს...

**ბოლოს, ექსპერტთა შეფასებები ასე ჯამდება:**

**I ექსპერტი: 98 ქულა**

**II “ექსპერტი“: 58 ქულა**

**საშუალო არითმეტიკული: 78**

**ჩვენი პროექტი არ დაფინანსდა.**

“დაუინტერესებელი“ “უცხოელის“ შურისგებით ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტისათვის დაიკარგა შესაძლებლობა, თურქეთსა და საქართველოს მთიანეთში გაგვეგრძელებინა დიდი სამეცნიერო და ეროვნული ღირებულების საქმე - დაკარგვის საფრთხის ქვეშ მყოფი ქართველური ენობრივ-ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალის დოკუმენტირება.

**ვინ მოიგო ამით?**

**ტარიელ ფუტკარაძე**

**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სრული პროფესორი

30 ოქტომბერი, 2006 წელი

**p.s. მთავარი ციტატა** ფონდის ხელმძღვანელების (რომლებიც პიროვნულად წესიერი ადამიანები არიან, მაგრამ არსებული კანონით მათ შეზღუდული უფლებები აქვთ) პასუხიდან: **“ფონდს არა აქვს უფლება რომელიმე ექსპერტის საქმიანობაში ჩარევისა, ასევე არა გვაქვს უფლება ექსპერტების შეფასების კომენტირების...“.**

**მთავარი მიზეზი** უცხოელი “ექსპერტის“ მიერ “საქართველოს ეროვნულ ფონდში“ ჩემ მიერ წარდგენილი პროექტის (და სხვა მსგავსი პროექტების!) “ჩაძირვისა“ იყო არა “სამეცნიერო პოლემიკა“, არამედ საქართველოს ენობრივ-ეთნიკური დაშლისკენ მიმართული კიდევ ერთი აქტი (უკვე საქართველოს განათლების სამინისტროს სახელით განხორციელებული); მეტი სიცხადისათვის:

**საქართველოს ენობრივ-ეთნიკური დაშლის ძველი რუსული გეგმა აქტიურად ამოქმედდა საქართველოს დამოუკიდებლობის**

**აღდგენის (1991) შემდეგ და დღესაც აქტუალურია ამ გეგმის ყველა მიმართულება; კერძოდ: I მიმართულება:** ქართველთა რამდენიმე დი-ალექტისთვის (მეგრულისთვის, ლაზურისთვის, სვანურისთვის...) **რეგიონალური ენის** სტატუსის მინიჭება (შდრ.: “ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ” **რეგიონალურ ენად მიიჩნევა მხოლოდ ეროვნული/ეთნიკური უმცირესობის ენას**); **II მიმართულება:** ამ “ენებისთვის” სამწიგნობრო ტრადიციის შექმნა და ქართველთა ამ ნაწილის ჩამოშორება ზოგადქართული სამწიგნობრო კულტურისთვის (არადა, **ქართველთა სამწიგნობრო ენა** შეიქმნა იმ ძველ ქართულ **საერთო ენაზე**, რომლისგანაც წარმოიქმნა მეგრულ-ლაზურ-სვანური, მესხური, კახურ-ქართლური და ქართველთა სხვა კილოებიც; შესაბამისად, **სამწიგნობრო ქართული ენა ერთიანი ქართველური შემოქმედებაა**); **III მიმართულება:** უცხოელი (ჯორჯ ჰიუიტის, ვოლფგანგ ფოიერშტაინის...) თუ ქართველი “მკვლევრების” დახმარებით მეგრულ-სვანურ-მესხური კილოების გამოცხადება ქართულისგან “დაჩაგრულ ენებად” და ამ გზით მეგრულ-ლაზურ-სვანურისთვის “რეგიონალური ენების” სტატუსის მინიჭების გამართლება... **დასკვნითი ეტაპი:** საქართველოსთვის **შავი ზღვის** სანაპირო ზოლის წართმევის მიზნით **რეგიონალური ენების მიხედვით** ახალი ავტონომიური ერთეულების შექმნა და შიდაქართული “ეთნიკური” კონფლიქტის ფაბრიკაცია...

XX საუკუნეში **რუსეთი** რამდენჯერმე შეეცადა ამ გეგმის რეალიზებას, მაგრამ ქართველი ინტელიგენცია აღუდგა წინ; ევროსაბჭოს დოკუმენტების არსის გაყალბებით მიმდინარე ამჟამინდელი მცდელობა უფრო საშიშია, რამდენადაც საბჭოთა პერიოდში დასაყრდენი მომზადდა ქართველ მეცნიერებშიც და ზოგ პოლიტიკურ წრეშიც; ბოლო წლებში განსაკუთრებული “მობილიზაციაა” სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში, რაც გამოიხატება იმით, რომ ამ სფეროში თანამდებობებს **ძირითადად** იკავებენ და ე.წ. კონკურსებს აკონტროლებენ პირები, რომლებიც დღესაც აქტიურად იცავენ ე.წ. ოთხი ქართველური ენის “იდეოლოგიას” - ქართველური ენობრივი სამყაროს “საბჭოურ” კვალიფიკაციას.

**კიდევ უფრო საშიშია ბოლოდროინდელი ტენდენცია:**

დღეს ევროპაში აქტუალურია, პრიორიტეტულია **პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზების გამო გადაშენების პირას მყოფი ხალხების/ერების ენების გადარჩენა** (იხ., მაგ.,

www.mpi.nl/DOBES: "Documentation of endangered languages"; აპლიკაციაში ხაზგასმითაა მითითებული, რომ განაცხადი მიიღება, თუ იგი ეხება **პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზების გამო გადაშენების პირას მყოფი ერების ენებს**); კერძოდ, ძლიერი ევროპული ფონდები აფინანსებენ საფრთხის ქვეშ მყოფი ენების დოკუმენტირებას (მონაცემთა ჩაწერას), მათთვის დამწერლობისა და სამწიგნობრო ტრადიციის შექმნას. სამწუხაროდ, ეს კეთილშობილური იდეა ცუდად არის გამოყენებული **გრანტების "მოყვარულთა"** მიერ: სამეცნიერო გრანტების მოპოვების მიზნით, არაიშვიათად, ქართველური კილოები **პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზების გამო გადაშენების პირას მყოფი ერების ენებად**, მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიციის მქონე ქართველობის ნაწილი კი, არაქართველებად ცხადდება; იხ., მაგალითად:

- [http://www.volkswagenstiftung.de/foerderung/international-focs/documentation of endangered languages](http://www.volkswagenstiftung.de/foerderung/international-focs/documentation%20of%20endangered%20languages): ამ პროგრამით დაფინანსდა იოსტ გიპერტის და **ჯორჯ ჰიუიტის** (მისი ბოლო არაობიექტური, ქართველი ერის ერთიანობის საწინააღმდეგოდ მიმართული მტრული წერილის ძირითადი ფრაგმენტები იხ. დანართის ბოლოს) კოორდინატორობით წარდგენილი პროექტი "Endangered Caucasian Languages in Georgia" (ECLinG);

- [www.mingrelia.de](http://www.mingrelia.de) (Zur Sprache und Kultur Mingreliens) - ეს არის ვებგვერდი მეგრული "ნაციის" შესახებ, რომელიც იხაგრება "ქართველებისგან". ლაზების შესახებ ანალოგიურია: [www.Lazika.de](http://www.Lazika.de) (Zur Sprache und Kultur der Lazen).

- [http://portal.unesco.org/ci/en/ev.php-URL\\_ID](http://portal.unesco.org/ci/en/ev.php-URL_ID) (იუნესკოს ამ ვებგვერდზე არის: "Endangered Caucasian Languages in Georgia"; კერძოდ, ლაზური, წოვათუშური, უდური ენების კვლევის დაფინანსების შესახებ; აქვე იყო ინფორმაცია **ხევსურული ენის კვლევის** დაფინანსების შესახებაც, მაგრამ ჩვენი (ენათმეცნიერთა ერთი ნაწილის) პროტესტის შემდეგ ხევსურული ენა შეცვალეს ხევსურული დი-ალექტით) და სხვ.

## George Hewitt

George Hewitt is professor of Caucasian languages at London's School of Oriental & African Studies (SOAS). Among his many works are "Peoples of the Caucasus" (in Felipe Fernández-Armesto, ed., *Guide to the Peoples of Europe* (Times Books, 1994) and (as editor) *The Abkhazians, a handbook* ([Routledge, 1998](#)); Also by George Hewitt in openDemocracy: "[Sakartvelo, roots of turmoil](#)" (27 November 2003)

### **Abkhazia: land in limbo**

openDemocracy 10 - 10 - 2006

**The unrecognised republic of Abkhazia lies at the heart of the Georgia-Russia dispute. George Hewitt, leading scholar of Abkhazian language and identity, considers how the Abkhaz today view their own future.**

Georgia's president Mikheil Saakashvili introduced John McCain, leader of a senatorial delegation to Tbilisi in September 2006, as "the next president of the United States," a compliment repaid by McCain's styling the Georgian people America's "best friends." As the senators bade Georgia farewell some days later, they expressed the hope that the peoples of the two [territories](#) which have maintained a precarious immunity from Tbilisi's grasp since the conflicts of the early 1990s would "soon learn what it means to live in freedom."

In offering this view of Abkhazia (which the senators did not visit) and [South Ossetia](#) (which they did), leading figures in Washington demonstrate (once again) an abiding ignorance of the cause they proclaim. A month later, the Abkhazians in particular are left to muse on the political calculations behind such visits: and on how far the current crisis threatening their small

republic might owe something to stage-management by a US administration working closely with the tyro politicians who head the government of the [Georgia](#) from which the Abkhazians broke away in the 1992-93 war.

To explain why Abkhazians may think in this way, and to understand how they see their present situation and future, a return to this earlier period is essential. At the end of September 1993, as the Georgian-Abkhazian war ended with the flight of the Georgian fighters and many of the largely [Mingrelian](#) population who sympathised with Tbilisi's claim to the territory, the [Abkhazians](#) never re-established control over a part of their homeland. This was the upper Kodori (Kodori) valley, repopulated in the latter half of the 19th century (after the migration to Ottoman areas of the native population) by another Georgian-related people called Svans, who expanded from their own valleys in Georgia.

Some informed observers believe that the Russians then planned (under a proposal of then defence minister Pavel Grachev, which in the event was rejected by then leader of the Georgian state council, Eduard Shevardnadze) to make permanent the *de facto* partition of Abkhazia at the Gumista river, just north of the capital Sukhum (Sukhumi). To further this aim, it is alleged that the Russians threatened to bomb the Abkhazians if they continued up the Kodori towards the Klukhor pass, in case this might spread unrest among the residents of Russia's north Caucasian republic of Karachay-Cherkessia (Russians had already reportedly bombed the village of Eshera, behind the Abkhazians' frontline, as the latter began their final push against the Georgians). The valley, thus, remained notionally under Tbilisi's control - though, like Georgia's own Svanetia region, it mostly remained a law unto itself.

The Abkhaz-Georgia war was officially terminated by the Moscow accords of 1994, which provided for a demilitarised zone along the Ingur river to be supervised by Commonwealth of Independent States ([CIS](#)) - essentially Russian - peacekeeping troops; with the United Nations, through its observer mission ([Unomig](#)), exercising effective oversight. The zone was frequently breached by violent groups (the Forest Brethren and the White Legion) operating out of Mingrelia and financed by the Georgian government, which infiltrated Abkhazia's Gal (Gali) district to commit murder and sabotage...

In July 2006, cross-border militarism was reactivated and hundreds of regular Georgian troops were [installed](#) in the valley on the pretext of executing a "policing operation" to rid the area of the corruption practised by local leader Emzar Kvitsiani. In addition, [Saakashvili](#) is relocating there the members of the so-called "Abkhazian government-in-exile" from the relative luxury of their sinecure existence in Tbilisi.

This whole operation was condemned by the Georgian NGO, the [Human Rights Information and Documentation Centre](#). From a hideout, Kvitsiani produced a video declaring guerrilla war against the interlopers, the Svans not at all fancying the idea of Mingrelians being imported to govern them...

### **A state in suspension**

Abkhazia, present problems notwithstanding, is making slow progress towards building [a future](#) for its population - consisting of roughly equal numbers of Abkhazians, Mingrelians, Armenians and Russians. Each year more enterprises open, more buildings appear or are renovated (though ugly ruins still scar the main battlegrounds of Sukhum and the Ochamchira district), transport-links improve (though again the needs of Ochamchira town continue to be ignored), and virtually anything can be bought in Sukhum's shops and thriving market, as long as the customer has cash. But there's the rub.

Levels of (Russian) tourism to Abkhazia in 2005 were said to be virtually back to Soviet levels, but one sensed this summer that numbers were down, especially in Sukhum, probably through fear of hostilities. The Georgian military presence has, thus, perhaps achieved one goal in damaging Abkhazia's fragile economy. For the first time in ten years westerners can again cross freely from Russia into Abkhazia - all that is needed is a permit from Abkhazia's foreign ministry and, if return to Russia is desired, a double/multiple-entry Russian visa.

Will this encourage investors to [visit](#) and assess for themselves (free from Georgian pressure) the huge potential of this small Caucasian [paradise](#)? Apart from coastal pearls like Gagra and Pitsunda or mountain-jewels like Lake Ritsa, the airport at Dranda has the longest runway in Transcaucasia, and surveys indicate that Ochamchira could provide the best deep-water port in the whole western Caucasus. But the detritus of war remains: climb-

ing the path to the small church of Basil the Martyr in the neighbourhood of the working Monastery of St John Chrysostom at Kaman, we were reminded by a [Halo Trust](#) operative not to stray over the white ribbon demarcating a minefield.

Once Turkey ceased to accept Abkhazian passports and the ferry service linking Sukhum with Trabzon was suspended in 1996, Abkhazians found themselves unable to travel abroad - most for emotional reasons refused to obtain Georgian passports. Russia stepped into the [breach](#), and 80% reportedly already possess Russian documents, with which they travel freely.

Georgians complain that, with Russians using their disposable income to buy property in Abkhazia, this territory is gradually being absorbed into Russia. And there is much excitement (vs worry in Tbilisi) over what [precedent](#) will be set by the likely recognition of Kosovo. If Abkhazia's initial Soviet status as a union-republic had not been downgraded by Stalin (February 1931) to that of an "autonomous republic" within Georgia, Abkhazia would have joined the community of independent nations upon the Soviet Union's dissolution in 1991.

All Georgia has offered Abkhazia after losing its attempt at aggressive territorial integrationism in 1992-93 is a return to the *status quo ante*. Not a single Abkhazian endorses this option, which would be universally seen - if it were within the pale of rational discussion - as capitulation.

Meanwhile, many of the most vocal advocates of the Georgian national cause are still wont to portray Georgians exclusively as history's victims, which leads them - as in their dispute with the Abkhazians - never to take responsibility for their own actions and to lay the blame elsewhere (usually on Russia).

It is true that the conflict's end was painful for many thousands of residents of Abkhazia who fled to Georgia in the moment of defeat at the end of the 1992-93 war. It was also the jingoistic rhetoric emanating from Tbilisi (voiced by political leaders, media outlets, and scholars, questioning the Abkhazians' historical rights to their homeland and threatening their expulsion) which had precipitated the conflict. A full accounting of the war and its [aftermath](#) must take this origin into account.

Moreover, a number of trends in the years since the conflict settled into a cold (and frequently interrupted) peace - intermittent demonstrations by Georgia of military muscle, a tendency to demagogic outburst (not least from Mikheil Saakashvili himself), and the promulgation in school textbooks of the imaginative [theory](#) that the Abkhazians are relatively recent settlers on historical, "Georgian" soil - suggest to the Abkhazians (and many others) that little if anything has changed.

Whilst no [Abkhazian](#) would risk again placing the nation's survival in Georgian hands, many have reservations about growing association with Russia. But what alternative has the international community's insistence on restoration of (Soviet) Georgia's territorial integrity left them? It is time to realise that universal recognition of Abkhazia's independence is the best [guarantee](#) for Transcaucasian prosperity *in toto*, greater readiness to accommodate more refugees, and a reduction in Russian influence in the region - all western aspirations that western policies themselves currently frustrate...